ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 3 აპრილი, 2013 №78 (6079) ფასი: 30 თეთრი

3 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
იოანე პავლე II
8 ლარი




# სანდრო ბრეგაძე: „პარლამენტი რესპუბლიკელებმა ჩაიგდეს ხელში“



გვ.2

## ირაკლი ალასანია: „საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად „ქართული ოცნება“ პრაიმერს არ ჩაატარებს“



გვ.3

## ირაკლი ალადაშვილი: „უნდა გაირკვეს, როგორ მოხვდნენ შეიარაღებული ჩეჩნები ლაფანყურში“



გვ.5

## სააკაშვილი მთავრობისგან განმარტებებს ითხოვს



გვ.5

## სომხები იშხანსა და ოშკს ითხოვენ





გვ.3

## საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკველი ჩაიყარა



გვ.6

## მამუკა კაციტაძე: „იანვარ-თებერვალში არჩევნები არ უნდა ჩატარდეს“



გვ.5

## მოსამართლეთა უმრავლესობა სააკაშვილმა თავის დანაშაულებრივ საქმეებში ჩაითრია



გვ.4

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია ვითარდება და ამის აღიარება ბევრს არ სურს ან არ ახარებს“

6 ბათუმში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს

2 საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

6 ბანკი ხალხის მტერია?!

## ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია ვითარდება და ამის აღიარება ბევრს არ სურს ან არ ახარებს“

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის იმ ნაწილს, სადაც პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეებზე ბოლო პერიოდში გახშირებულ ზეწოლისა და ცემის ფაქტებზეა საუბარი, – არ ეთანხმება.

„პოლიცია ვითარდება. რასაც ჩვენ მივაღწიეთ რეალური პროგრესია და ამის აღიარება ბევრს არ სურს ან არ ახარებს. შესაბამისად მათ ჭორების გავრცელების ასეთი მეთოდი აქვთ. ვურჩევდი, რომ მეტად კონსტრუქციულები იყვნენ და რე-



ალური სიმართლე ასახონ. თუ პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის რაიმე ფაქტები არსებობს, ძალიან ვთხოვ ყველას, რომ პირადად გამომიგზავნოს ინფორმაცია თუ ვისი უფლებები იქნა დარღვეული“– განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს ვალერიან თელიას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთან მომხდარი ინციდენტის დროს, სამსახურეობრივი მოვალეობის გადამეტება არ უდასტურდება, – შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვიდეო ჩანაწერები ალტერნატიული წყაროდან ამოვიღეთ და ის მედიის საშუალებით გავავრცელეთ. ვალერი თელიამ გამოიჩინა ნებისყოფა. მას აქვს მუნდირის ღირსების განცდა, ის არის პოლიციელი, აჭარის შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი და ვალდებული იყო თავისი მუნდირი დაეცვა“-განაცხადა ღარიბაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაქარია ხუნძაყიშვილი, გუშინ გზების მოვლა-შენახვის ტენდერებში გამარჯვებულ კონტრაქტორებს შეხვდა. შეხვედრაზე, თავმჯდომარემ კონტრაქტორებთან ერთად, საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვის საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის დინამიკა განიხილა.

დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ზამთრის პერიოდში გზებზე გაჩენილი ხარვეზების გამოსწორებისა და ზოგადად, საგზაო ინფარსტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს, ამ პროცესს კი დეპარტამენტი სისტემატიურ მონიტორინგს გაუწევს.

დეპარტამენტის ცნობითვე, ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად, გზების ორმოული შეკეთების, სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების, უსაფრთხოების საშუალებების განახლების, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მოწესრიგების სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# სანდრო ბრეგაძე: „პარლამენტი რესპუბლიკელებმა ჩაიგდეს ხელში“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

*– ბატონო სანდრო, მოდით, ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები შევაფასოთ. უკვე აქტიურად მიდის საუბარი ბიძინა ივანიშვილის გავლენის შესუსტებასა და რესპუბლიკელების გავლენის გაძლიერებაზე. რამდენად დაეთანხმებით თქვენ ამ მოსაზრებას?*

– ივანიშვილის გავლენის შესუსტებას მე ვერ დავეთანხმები, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო და არის კოალიციის უპირობო ლიდერი და კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს, ჩემის ღრმა რწმენით, გააზრებული აქვს ის, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევა, სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა. რომ არა ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი ფაქტორი, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც დღეს არის. რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას, მე ვფიქრობ, რომ, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური პარტია გაძლიერდა, იმიტომ, რომ რესპუბლიკურ პარტიას ჩვენ გვახსოვს, რომ ბოლო არჩევნებში მხარდაჭერა არ ჰქონია, მათი რეიტინგი მუდმივად ორიდან სამ პროცენტამდე მერყეობდა. რა თქმა უნდა, ივანიშვილის კოალიციაში შესვლის შემდგომ რესპუბლიკური პარტია სერიოზულად გაძლიერდა და მაშინ, როდესაც პარტიას ჰყავს ქვეყანაში მეორე პირი, ანუ პარლამენტის თავმჯდომარე, ჰყავს რამდენიმე მინისტრი, აქვს ფრაქცია პარლამენტში და როდესაც ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მათი რიგებიდან იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მათი გავლენები გაიზარდა. გაიზარდა საკმაოდ შთამბეჭდავად და მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი არის შედეგი იმისა, რომ როგორც ეტყობა, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური ტაქტიკისთვის ასე სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ასე არის საჭირო.

*– რაში უნდა სჭირდებოდეს?*

– მე ახლა ამაზე მარჩიელობას არ დავიწყებ, მაგრამ ერთ-ერთი ფაქტორი ალბათ ყოველივე ამისა არის ის, რომ მაინც ასეა თუ ისეა, რესპუბლიკურ პარტიას სხვა პარტიებისგან განსხვავებით, რომლებიც კოალიციაში შედიან, აქვს გარკვეული კავშირები საქართველოს ფარგლებს გარეთ, აქვს უცხოელებთან კავშირი და ისინი წარმოადგენენ ლიბერალურ პოლიტიკურ ძალას, როგორი ლიბერალური პოლიტიკური ძალაც დასავლეთისთვის ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე სხვა ტიპის კონსერვატორული პოლიტიკური ძალები. ამას გარდა შეიძლება ისიც ითქვას, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ ყველაზე სკრუპულოზურად წარმართა თავისი საქმიანობა, ისეთი პოლიტიკური სვლები გააკეთა, რომელი პოლიტიკური სვლებითაც მან ფაქტობრივად თავისი კონკურენტები, იგივე კოალიციის შიგნით, უკანა პლანზე გადაწია და წინა პლანზე თვითონ წამოიწია. ახლა ამას შეიძლება ბევრი უკმაყოფილებით ხვდებოდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს ესე არის და ჩვენ დღეს სახეზე გვაქვს, რომ ფაქტიურად საპარლამენტო მმართველობა თავიდან ბოლომდე რესპუბლიკური პარტიის ხელშია. ასევე საგარეო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობენ რესპუბლიკური პარტიის წევრები და ახლა იწყებენ საშინაო ასპარეზზე გაძლიერებას.

*– როგორია მათი როლი ივანიშვილთან დაკავშირებით?*

– ივანიშვილი არ არის ისეთი პიროვნული თვისებების მატარებელი, რომ ის ახლა ვინმემ ტყვეობაში მოაქციოს ან მისი გავლენის ქვეშ იყოს. რა თქმა უნდა, რაღაც გავლენა გარკვეულწილად იქნება, იმიტომ, რომ მძლავრი პოლიტიკური ძალა შეიქმნა რესპუბლიკური პარტიის სახით, მაგრამ ის, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილს კარნახობდნენ რაღაცას და ბიძინა ივანიშვილი ამას უტყვად ემორჩილებოდეს, ეს აბსურდია და ეს არის შეუძლებელი. ბიძინა ივანიშვილი გახლავთ ბევრად უფრო ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. თუმცა მე მესმის იმ კონსერვატიული პოლიტიკური ძალების უკმაყოფილება, რომლებიც გამოთქვამენ ყოველივე ამას რესპუბლიკელებთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ პირადად ჩემთვისაც, ბევრი რამ რასაც რესპუბლიკური პარტია ქადაგებს, არის აბსოლუტურად მიუღებელი. თუმცა მე ამავე დროს იმასაც ვსაზღვრავ, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, აუცილებლად უნდა არსებობდეს ლიბერალური პოლიტიკური ძალები, ისევე, როგორც უნდა არსებობდეს სხვა პოლიტიკური ძალები, თუმცაღა, სხვა ფაქტორი უფრო მაღელვებს მე.

*– კონკრეტულად რა ფაქტორი?*

– ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოში, ე.წ. ლიბერალურ ძალებს, მაგალითად, როგორიც იყო ნაციონალურ მოძრაობაში შემავალი თავისუფლების ინსტიტუტის ჯგუფი და როგორიც არის, ვთქვათ, ივანიშვილის კოალიციაში შემავალი რესპუბლიკური პარტია, ხშირ შემთხვევაში აქვთ ერთი დიდი შეცდომა, რომელი შეცდომაც მათ, სხვათა შორის, იდენტურს ხდის და ამავე დროს, ეს მათ ლიბერალიზმს აშორებს. მათი მიზანი არის ის, რაზეც მე ვსაუბრობ, რომ ქვეყანაში იყოს ფართო პოლიტიკური სპექტრი, არამედ მათი მიზანი ხშირ შემთხვევაში არის ის, რომ მარტო ისინი იყვნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. სხვა ყველა კი განდევნილი იყოს პოლიტიკური ასპარეზიდან. აი, ეს, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელი ტენდენციაა და მე ამ ტენდენციას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. იმიტომ, რომ ლიბერალიზმი თავის თავში გულისხმობს დემოკრატიას და დემოკრატიული მმართველობა და დემოკრატიული სისტემა გულისხმობს მრავალფეროვან პოლიტიკურ სპექტრს. ახლა, როდესაც ლიბერალური მიმართულების ძალები, იგივე ნაციონალურ მოძრაობაში შემავალი ჯგუფები და იგივე ივანიშვილის კოალიციაში შემავალი ჯგუფები, როდესაც ფიქრობენ იმას, რომ მარტო ისინი უნდა იყვნენ ხელისუფლებაში თავიდან ბოლომდე წარმოდგენილები და ყველა დანარჩენი განდევნილი უნდა იყოს პოლიტიკური ასპარეზიდან, მე ვფიქრობ, რომ სცილდებიან კლასიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიას. ქართველი ლიბერალები ამით კარდინალურად განსხვავდებიან ევროპელი ლიბერალებისგან. ისინი ფართო პოლიტიკური სპექტრის მომხრეები არიან. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი უნდა დაიწმინდოს და ერთგვარად ჩვენ სახეზე უნდა მივიღოთ მრავალპოლუსიანი პოლიტიკური სპექტრი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ თუ გვექნება ქვეყანაში ერთპოლუსიანი პოლიტიკური ცენტრი, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ცოტა ხანში იგივე მოვლენებთან გვექნება საქმე, რომელ მოვლენებთანაც წლების წინ გვქონდა საქმე და ეს, რა თქმა უნდა, კარგის მომტანი არ იქნება ქართული პოლიტიკური სივრცისთვის.

*– საუბარია, რომ კოალიცია ოცნებაში სერიოზული დაპირისპირებაა საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, როგორ ფიქრობთ, აქაც რესპუბლიკელების ინტერესი გადაწონის?*

– იცით რა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ მკაფიოდ განაცხადა, რომ მისთვის იდეალური პრეზიდენტობის კანდიდატი არის ვახტანგ ხმალაძე და



ვახტანგ ხმალაძე არის რესპუბლიკური პარტიის წევრი. ეს არის ივანიშვილის მოსაზრება, რაც მე მომისმენია და ბიძინა ივანიშვილი არის კოალიციის ლიდერი. მე არ ვიცი, დღეს ვის რა სურვილები ამოძრავებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, შესაძლებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში მივიღოთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობა ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში. დღეს რეალური საპარლამენტო მმართველობა არის რესპუბლიკური პარტიის ხელში. იქ არის ოცნების პარტია წარმოდგენილი, იქ არის ფორუმი, იქ არიან კონსერვატორები, იქ არის ალასანიას პარტია წარმოდგენილი, მაგრამ რეალური საპარლამენტო მმართველობა, დღეს არის რესპუბლიკური პარტიის ხელში. ამაზე არა მარტო მე ვსაუბრობ, არამედ ამაზე მე მესაუბრებიან ჩემი უცხოელი მეგობრებიც, რომლებიც თვლიან, რომ საპარლამენტო ხელისუფლება თავიდან ბოლომდე არის რესპუბლიკელების ხელში. ეს გახლდათ კოალიციის და კოალიციის ლიდერის არჩევანი და ჩვენ სახეზე მივიღეთ ასეთი ტიპის საპარლამენტო მმართველობა. ახლა დანარჩენი რამდენად კარგია, ან ცუდია, ეს თვითონ კოალიციის ლიდერებმა უნდა გაარკვიონ ერთმანეთში და თავად განსაზღვრონ ყველაფერი. მე ახლა აქედან ვერ გავხდები რჩევების მიმცემი, რადგან მათ ეს ყველაფერი უკვე დალაგებული აქვთ. რამდენად კარგი იქნება, ამას დრო გამოაჩენს და ვფიქრობ, რომ ეს დრო არც ისე შორს არის.

*– თუკი ხმალაძე გახდება პრეზიდენტი, გამოდის, რომ ქვეყანას მართავს რესპუბლიკური პარტია...*

– ქვეყანას მართავს ბიძინა ივანიშვილი. ახლა ბიძინა ივანიშვილის შემდგომ ვინ მართავს პოლიტიკურ პროცესებს, ეს შეიძლება მსჯელობის საგანი იყოს. საპარლამენტო კუთხით, რომ რესპუბლიკური პარტია მართავს, ეს ცალსახაა და ეს არის კოალიციის ლიდერის არჩევანი. რომ არა ივანიშვილის სურვილი, რომ არა კოალიციის სურვილი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ასეთი მმართველობა. მე ვფიქრობ, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში აუცილებლად უნდა იარსებოს რესპუბლიკურმა პარტიამ, მაგრამ რამდენად უნდა იყოს 100%-იანი მმართველობა მათი იგივე პარლამენტში და პარლამენტს გარეთ, ეს სხვა საკითხია. მე არ ჩავერევი ივანიშვილის კომპეტენციაში, ალბათ, მას ყველა დეტალი განსაზღვრული აქვს. დრო გამოაჩენს ყველაფერს, გამოაჩენს რამდენად სწორია დღევანდელი პოლიტიკური განლაგება საჭადრაკო დაფაზე.

*– თქვენ ბრძანეთ, რომ რესპუბლიკელებს კარგი კავშირები აქვთ დასავლეთში და ეს ივანიშვილს სჭირდებაო... ხომ არ ფიქრობთ, რომ მათ კავშირებს სათავისოთ იყენებს ივანიშვილი და ამიტომ ქვეყნის შიგნით მეტი ძალაუფლება მისცა მათ?*

– მე არ მითქვამს, რომ კარგი კავშირები აქვთ უცხოეთში და მხოლოდ ამიტომ არის რესპუბლიკური პარტია ყველაზე მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია კოალიციაში. სხვათა შორის, რესპუბლიკური პარტია ქართულ პარტიაზე მძლავრია პარტიულად. ქართული ოცნების პარტია რამდენიმე თვის შექმნილია და რა თქმა უნდა, მის მშენებლობას გარკვეული დრო სჭირდება. მე ვთქვი, რომ უცხოელებს აქვთ რაღაცა გარკვეული იმედები, მოკლედ, თავისიანებად თვლიან რესპუბლიკელებს. ეს, რა თქმა უნდა, არის ფაქტორი, მაგრამ მეორე ფაქტორი არის ისიც, რომ რესპუბლიკელებმა ყველაზე ჭკვიანურად წარმართეს თავისი პოლიტიკური საქმიანობა. მე შეიძლება რესპუბლიკელების ბევრი მოსაზრება არ მომწონდეს, მაგრამ ის, რომ მათ ყველაზე ჭკვიანურად წარმართეს პოლიტიკა კოალიციის შიგნით, ეს სახეზეა. ეს გაღიზიანებას არავისში არ უნდა იწვევდეს. ადამიანმა თავისი წარუმატებლობა სხვას არ უნდა დააბრალოს. ყველამ თავის თავში ჩაიხედოს და აღმოაჩინოს ის შეცდომები, რომელი შეცდომებიც მათ დაუშვეს. რამდენი წელია უკვე ვსაუბრობ ეროვნული ძალების გაერთიანებაზე, ეროვნული ძალების ერთად თავმოყრაზე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი გაერთიანება. ეროვნული ძალები რომ სადღაც კუთხეში არიან დღეს მიმწყვდეულები, ეს თავიანთ თავს უნდა დააბრალონ მათ. ასევე კოალიციაში შემავალი ძალები თუ მეორე პლანზე არიან გადანაცვლებულები, ეს თავიანთ თავს უნდა დააბრალონ და არა სხვას. რესპუბლიკური პარტია იბრძვის თავისი იდეოლოგიის და, რა თქმა უნდა, საკუთარი პარტიის გასაძლიერებლად და თუ სხვა ვერაფერს ვერ ახერხებს, ეს მისი ბრალია და არა რესპუბლიკური პარტიის. თუ რა უფროა ქვეყნისთვის სასიკეთო, ეს სხვა საკითხია. მე ვფიქრობ, რომ ლიბერალური მიმართულების იდეოლოგია ჩემი ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მტრული თვალით ვუყურებდე ამ იდეოლოგიის ძალებს. თუ მათ გაიმარჯვეს შემდეგ არჩევნებში, აუცილებლად მივულოცავ ამ გამარჯვებას და ვიფიქრებ, რომ მათ უფრო მეტი გააკეთეს თავიანთი გამარჯვებისთვის, ვიდრე სხვამ, ან თუნდაც მე.

*– ხშირად საყვედურობენ ოცნებას, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილ ოპოზიციურ ძალებთან არ თანამშრომლობსო...*

– ჩემდა სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ბევრად უფრო აქტიურად მიმდინარეობს კოჰაბიტაციის პროცესი ნაციონალურ მოძრაობასთან, ვიდრე იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომელი ძალებიც პარლამენტს გარეთ არიან დარჩენილები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: „საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად „ქართული ოცნება“ პრაიმერს არ ჩაატარებს“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვეში საქართველომ ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. საპრეზიდენტო კანდიდატი, ლეიბორისტების გარდა, ჯერ არც ერთ პარტიას არ დაუსახელებია. ყველამ კარგად იცის, რომ მთავარი ბრძოლა მეოცნებეებისა და ნაციონალების კანდიდატებს შორის გაიმართება.

დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი მეოცნებეთა საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად. საოცნებო კანდიდატად რამდენიმე პიროვნება მოიაზრება. ერთ-ერთი მათგანი ირაკლი ალასანიაც არის. თავდაცვის მინისტრს არასდროს დაუმალავს, რომ პრეზიდენტის სავარძლისკენ გაურბის თვალი. სწორედ მის საპრეზიდენტო ამბიციებს შეეწირა მისი ვიცეპრემიერობაც.

ოცნებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე ადამიანის კანდიდატურა განიხილება. გაჩნდა ვარაუდი, რომ ამ საკითხის გასარკვევად პრაიმერი ჩატარდეს. დასავლეთის ქვეყნები ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ. თავდაცვის მინისტრს პრაიმერთან არანაირი პრეტენზიები არა აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე შიდა არჩევნების ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავს.

ალასანიას განცხადებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ჯერ არც კი დაწყებულა.

– კოალიცია „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კანდიდატს შიდა კონსულტაციების შედეგად გამოავლენს და ე.წ. პრაიმერის მეთოდს, ანუ შიდა არჩევნებს არ გამოიყენებს, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა.

მან კომენტარი სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის მოდელზეც გააკეთა. ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელიც მხარს არა საპარლამენტო რესპუბლიკას, არამედ საპრეზიდენტო მოდელს უჭერს.

– ამასთან დაკავშირებით „თავისუფალ დემოკრატებს“ გვაქვს ჩვენი არგუმენტები, თუ რატომ უნდა იყოს ისეთი ტიპის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, საპრეზიდენტო მოდელი აპრობირებული. თუმცა ეს ჩვენი ახირება არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს დაუჭერს მხარს, „თავისუფალი დემოკრატები“ ამ პროცესს არ შეეწინააღმდეგებიან, – განაცხადა ამირსპასალარმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ალასანიამ ძირითადად სამხედრო თემებზე ისაუბრა. ნაციონალების ხელისუფლების პირობებში ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრის პრესკონფერენცია სანატრელი გვქონდა. ალასანია ამ მხრივ ჯერჯერობით კარგად იქცევა. იმედია, მინისტრი მომავალშიც ასე გააგრძელებს.

ამ ეტაპზე სამხედრო უწყების თავკაცი 26 მაისის სამზადისით არის დაკავებული. 26 მაისს საქართველოში სამხედრო აღლუმები იმართება ხოლმე. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, გაიმართება თუ არა სამხედრო აღლუმი. მინისტრი გვპირდება, რომ წლევანდელი 26 მაისი ძალიან შთამბეჭდავი და განსხვავებული იქნება.

– 26 მაისის სამზადისში ვართ. ამ საკითხში ჩართულია პრემიერ-მინისტრი და მთლიანად მთავრობა. 26 მაისს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი და ლამაზი სანახაობა. რაც მთავარია, ეს 26 მაისი იქნება სრულიად განსხვავებული. იქნება სამხედრო კომპონენტიც, – განაცხადა ალასანიამ.

მინისტრს არ დაუკონკრეტებია, გაიმართება თუ არა სამხედრო აღლუმი რუსთაველზე ან სხვაგან და ჩაიბარებს თუ არა აღლუმს საქართველოს პრეზიდენტი.

მან ქართულ სამხედრო მრეწველობაზეც ისაუბრა. ქართულ საბრძოლო მანქანებს „დიდგორსა“ და „ლაზიკას“ ნაციონალები დიდ რეკლამას უწევდნენ. იმასაც გვიმტკიცებდნენ, ამ სამხედრო მანქანებს მალე ექსპორტზე გავიტანთო. იმისათვის, რომ რამე ექსპორტზე გაიტანო, ჯერ მისი წარმოება უნდა დაიწყო. საქართველოს სამხედრო უწყებას ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, დაიწყებს თუ არა ჯავშანმანქანების სერიულ წარმოებას. ეს გადაწყვეტილება ექსპერტების პასუხზე იქნება დამოკიდებული.

– მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი ქვეყნის სამხედრო მრეწველობის პოტენციალი არსებობს. გუშინწინ მქონდა ხანგრძლივი შეხვედრა „დელტას“ წარმომადგენლებთან. ძალიან დიდი სამეცნიერო პოტენციალი არის კონცენტრირებული ამ უწყებაში. ის გათვლები, ის პროექტები, რომლებიც ჩვენ დაგვხვდა, ახლა გადიან გამოცდას, თუნდაც წვრთნებში გამოყენება „დიდგორის“, ემსახურებოდა იმას, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ გამოგვეცადა იგი წვრთნებში. მიმდინარეობს მათი ჯავშანის გამოცდა. უახლოეს პერიოდში ამ ჯავშანტრანსპორტიორებზე სერიოზული საცეცხლე გამოცდა დაიგეგმება და ამის შემდეგ მიღებული გვექნება გადაწყვეტილება რენტაბელურობიდან და იმ თანხებიდან გამომდინარე, რასაც ეს ტექნიკა ითხოვს და პროდუქტის ბაზარზე გატანის შესაძლებლობიდან გამომდინარე გავაგრძელებთ ამ პროგრამას თუ არა. რა თქმა უნდა, იყო პიარის და სულსწრაფობის ელემენტი, როდესაც ეს ტექნიკა ნაადრევად გამოამზეურეს, ვიდრე გამოცდები იქნებოდა ჩატარებული და ამან გამოსაცდელი სამუშაოების ჩატარებას ხელი შეუშალა, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რათა დაზუსტდეს, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ტექნიკა ავიყვანოთ სერიულ წარმოებაში. ამას დასჭირდება მეტი დრო, – განაცხადა ალასანიამ.

შარშან ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაცია დღემდე აქტუალურია. ამ თემაზე ამ დღეებშიც დიდი მითქმა-მოთქმა იყო. სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ამ თემაზე სკანდალური განცხადება გააკეთა, რამაც ნაციონალები სულ გადარია. ლაფანყურში მოწყობილ სასაკლაოსთან დაკავშირები კითხვები ალასანიასაც მრავლად აქვს. ამის მიუხედავად, ის გამოძიების დასრულებამდე დასკვნების გაკეთებას ერიდება.

– ლაფანყურის სპეცოპერაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს და ვფიქრობ, ჩემი მხრიდან რაიმე კომენტარის გაკეთება წინდაუხედავი საქციელი იქნება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სპეცოპერაციის წარუმატებლობის ის იყო, რომ ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედება სწორად დაგეგმილი არ იყო და სწორედ ეს იქნება წინაპირობა იმისა, რომ ჩვენ კარგად მოვემზადოთ იმისთვის, რომ წარუმატებელი სპეცოპერაციები აღარ ჩავატაროთ, – აღნიშნა ამირსპასალარმა.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსი სამხედროები თავს არხეინად გრძნობენ. მოსკოვი მათ სულ უფრო აძლიერებს. ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საფრთხე ელოდება. ალასანია თავს არ იმშვიდებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რუსებისგან აგრესიულ ქმედებებს არ უნდა ველოდოთ.



– ზოგადად, როგორც ჩვენი სადაზვერვო თანამეგობრობა, არა მხოლოდ სამხედრო დაზვერვა, ინფორმაციას გვაწვდის, იქ მიმდინარეობს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერების მათი საფორტიფიკაციო ნაგებობების. იცით თქვენ, რომ დაახლოებით ცხრა ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ჰყავთ როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთის რეგიონშიც, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე რაიმე აგრესიული ესკალაციის შესაძლებლობის ხელწერა არ იკითხება; მათი პოზიციონირება უფრო თავდაცვითია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რაიმე ფორმით უნდა მოვდუნდეთ. მე თავიდანვე აღვნიშნე, რომ ჩვენ ვართ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაზე და აქედან გამომდინარე, ყველა ის რეფორმაც, რომელიც მიმდინარეობს, პირველ რიგში, ემსახურება საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას, – განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრი გაცილებით მეტ საფრთხეებს სოჭის ოლიმპიადიდან ელის. ის სოჭის ოლიმპიადაზე ტერაქტებს არ გამორიცხავს.

– წარსული გამოცდილება გვეუბნება იმას, რომ როგორც კი ჩრდილოეთ კავკასიაში იძაბებოდა ვითარება, ეს ეხებოდა ტერორისტულ აქტებს, საომარ მოქმედებებს ჩეჩნეთში, დაღესტანში ოპერაციებს, საქართველოზე ამ კონფლიქტის რეზონანსი მუდმივად გადმოდიოდა. ჩვენი ოპონენტები და მოწინააღმდეგეებიც ხშირად ეძებდნენ ქართულ კვალს, ეს გამოცდილება რახან გვაქვს და მოცემულობა იმისი, რომ დაგეგმილია და უნდა შედგეს ოლიმპიადა, ჩვენ, ბუნებრივია, გვიჩნდება იმაზე ფიქრის აუცილებლობა, რომ მივიღოთ პრევენციული ზომები და ნაბიჯები. ეს, პირველ რიგში, შსს-ს ფუნქციაა, ჩვენ მათთან ურთიერთქმედებაში ვართ. ერთობლივი წვრთნებიც იგეგმება, სპეციალური დანიშნულების რაზმებიც, ერთობლივი თათბირები თითქმის ყოველდღე გვაქვს, სადაც ამ საკითხსაც განვიხილავთ შსს-თან ერთად. ასევე ცხადია, ის გამოცდილება, როდესაც ასეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ტარდება, ოლიმპიადა იქნება, ჩემპიონატი თუ ნებისმიერი სხვა, ტერორისტული გაერთიანებები, ბუნებრივია, გამოცდილებიდან გამომდინარე ვიძახი, ისინი ასეთ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს უკავშირებენ გარკვეულ აქციებს. ეს ლოგიკურია. მე უბრალოდ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ არანაირი კონკრეტული ინფორმაცია საქართველოს ამასთან დაკავშირებით არ გააჩნია. ეს არის გამომდინარე ლოგიკიდან, სამწუხაროდ, იმ კონტტერორისტული და ტერორისტული გარემოდან. ასეთ დროს იზრდება და მომატებულია საფრთხე ტერორისტული აქტების. აქედან გამომდინარე ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე და მინდა გითხრათ, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ვფიქრობთ, როგორ უნდა მოვახდინოთ პრევენცია იმისი, რომ საქართველო არ გახდეს, ასე ვთქვათ, ჩვენი რუსი ოპონენტების მხრიდან სამიზნე ამ ბრალის. ჩვენ რეგიონის ქვეყნებთანაც ვიწყებთ მოლაპარაკებებს, რომ ოლიმპიადის ჩატარების პროცესში აქტიური ინფორმაციული გაცვლა გვქონდეს, – განუცხადა ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია საომარი მოქმედებებისას წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად არაპროფესიონალი პოლიტიკოსების მიერ გაცემულ ბრძანებებს მიიჩნევს.

– თვეების განმავლობაში მთავარი, რაც გაკეთდა, ისაა, რომ მთავარ ღირებულებად იქცა ჯარისკაცი. სწორედ ამიტომ, პრემიერ-მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯარისკაცებისთვის გაეზარდათ ხელფასები, დაზღვევის კუთხით მინისტრსაც და ჯარისკაცსაც ერთნაირი მომსახურება აქვთ. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივანიჭეთ გამჭვირვალეობას, საპარლამენტო კონტროლის ამაღლებას. როდესაც დაიხარჯება 4 მილიონზე მეტი, შეტყობინება გაეგზავნება თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტს, თუ ფარულ შესყიდვებთან გვაქვს საქმე – ნდობის ჯგუფს. ჩვენ განვახორციელეთ რიგი ცვლილებები ჩვენს უწყებაში, რომელიც ფუნქციების სწორად გამიჯვნას ითვალისწინებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ნაწილი ახორციელებს რა პოლიტიკურ-სამოქალაქო ზედამხედველობას შეიარაღებულ ძალებზე, ის არ ერეოდეს სამხედროების საქმეებში. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ჩვენი სამხედრო წარუმატებლობისაც, მათ შორის, იყო ის, რომ არაპროფესიონალი პოლიტიკოსები ერეოდნენ სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებაში და იძლეოდნენ ბრძანებებს, მათ შორის, როდესაც მიმდინარეობდა საომარი კონფლიქტი, – ამბობს მინისტრი.

ნაციონალების მმართველობის ხანაში თავდაცვის სამინისტროდან ბევრი პროფესიონალი და ღირსეული სამხედრო დაითხოვეს. მინისტრად დანიშვნისთანავე ალასანიამ განაცხადა, რომ შეიქმნებოდა სპეციალური კომისია, რომელიც უწყებიდან გაყრილი სამხედროების საქმეებს შეის-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სომხები იშხანსა და ოშკს ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში შედის. ოფიციალური თბილისი თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი ქართული ძეგლების აღდგენას ითხოვს. თურქეთი ამას მხოლოდ ერთი პირობით თანხმდება. ეს პირობა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აგებაა.**

აზიზიეს მეჩეთის აშენებას საზოგადოება ეწინააღმდეგება. გასულ წელს ბათუმში რამდენჯერმე საპროტესტო აქციაც კი გაიმართა. ყველას ეგონა რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს თემა აქტუალური აღარ იქნებოდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით. აზიზიეს მეჩეთის თემა ისევ აქტუალურია.

ამ თემაზე სასაუბროდ წინა კვირას საქართველოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც ეწვია. ახმედ დავითოღლუ საქართველოს პატრიარქსაც შეხვდა. ილია II-ს თურქი სტუმრისთვის უთქვამს, რა შემთხვევაში დასთანხმდება საპატრიარქო ბათუმში მეჩეთის აშენებას. ამის სანაცვლოდ საპატრიარქო თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ტაძრებში წირვა-ლოცვის ჩატარებას ითხოვს. დავითოღლუ ამაზე უარს ამბობს. შესაბამისად არც საპატრიარქო არის მეჩეთის აშენებაზე თანახმა.



ეს თემა ამ დღეებში ალბათ კიდევ უფრო აქტუალური გახდება. არადა თუ სომეხ მეცნიერებს დავუჯერებთ სულ ტყუილად ვღელავთ თურმე იშხანისა და ოშკის ბედზე.

„რუსეთის ჯავახკური დიასპორა“ სომხეთის კათოლიკოს-პატრიარქ გარეგინ მეორეს ღია წერილით მიმართავს, სადაც ქართული სამონასტრო კომპლექსები იშხანი და ოშკი სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ნაწილებად არის მოხსენიებული და ეკლესიის წინამძღოლს მათი დაბრუნებისთვის აქტიურად მოქმედებას სთხოვენ. ჯავახკური დიასპორის წერილს საააგენტო „ივერონი“ ავრცელებს.

– თქვენო უწმინდესობავ! როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სიწმინდეების კუთვნილების, რესტავრაციისა და გადაცემის საკითხი სომხებისა და განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მემკვიდრეების უსაზღვრო შეშფოთებას იწვევს. საუბარი ეხება (მათ შორის) სამონასტრო კომპლექსებს იშხანს, ოშკსა (ოშკივანკს) და ბანაკს.

ჩვენი აზრით, იქმნება რეალური საშიშროება ჩვენი ერის ისტორიული მემკვიდრეობის მისაკუთრებაზე. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა დავიცვათ ეს ბურჯები, რომლებიც მთელს ჩვენს უდიდეს ერს აერთიანებს. ერთ-ერთ ასეთ მთავარ და მყარე საფუძველს სომხური წმინდა სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს.



ჩვენი აზრით, დღეისათვის, თქვენ, ჩვენს საყვარელ კათოლიკოს-პატრიარქს გარეგინ მეორეს, ჩვენი დაქუცმაცებული ერის გაერთიანებისთვის უდიდესი მუშაობა მოგიწევთ. მივიჩნევთ, რომ ჩვენმა წმინდა სამოციქულო ეკლესიამ, ყველაზე სერიოზული ქმედებები უნდა განახორციელოს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ათასი კვადრატული კილომეტრი გვეკუთვნის – თუ არა ეთნიკური, საეკლესიო მიწების მაინც. არსებობს ისტორიული არქივები ეჩმიაძინში, ანტილიასში, სტამბულში, რომლებიც ამ ფაქტს ამტკიცებს. ასე რომ, მოგიწოდებთ, თურქეთისგან მინიმალური მაინც მოითხოვოთ, რომ ჩვენი კუთვნილი საეკლესიო მიწები დაგვიბრუნოს. ჩვენმა სამოციქულო ეკლესიამ საკუთარი ქონება უნდა დაიცვას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ იურიდიულად ამის მიღწევა შესაძლებელია და მისი დაწყება უკვე დღეიდან, საჯაროდ განცხადებით არის აუცილებელი. თითოეულ სომხურ ეკლესიას საკუთარი მიწა, სასაფლაო ჰქონდა და ვიმეორებთ, რომ ის ეკუთვნოდა არა ოსმალეთის იმპერიას, არამედ სომხეთის სამოციქულო ეკლესიას. ასეთი პოზიციის არარსებობა საბჭოთა პერიოდში ყველასთვის გასაგებია, თუმცა დღეს, გაჩუმება და უმოქმედობა არ შეიძლება აიხსნას. ჩვენი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია და ჩვენ ამის სამართლებრივი საფუძველი გვაქვს.

თქვენო უდიდებულესობავ! ნება მოგვეცით გითხრათ, რომ თუ ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ დაე იყოს დარწმუნებული, რომ მას მთელი ერი მხარს დაუჭერს, – ნათქვამია განცხადებაში.

ვერაფერს იტყვი, ძალიან გულისამაჩუყებელი განცხადებაა. მაგრამ ჩვენ აღარაფერს გვეკითხებით თქვე დალოცველებო? ყველა ქართული ეკლესია თქვენი აგებული როგორ არის?

# მოსამართლეთა უმრავლესობა სააკაშვილმა თავის დანაშაულებრივ საქმეებში ჩაითრია

გულიკო ბალაძე

**ძლივს დამთავრდა კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის დამტკიცება და ახლა ჭიდილია საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტზე. ნაციონალები გამუდმებით საუბრობენ იმაზე, რომ „ოცნება“ არ ასრულებს ვენეციის კომისიის დასკვნას, თითქოს თვითონ ნაციონალურმა მოძრაობამ რაიმე გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიდან, ხელისუფლებაში რომ იყო.**

ხშირად უნდა გავიხსენოთ „ნაციონალების“ 9-წლიანი მბრძანებლობის ვაება, როცა არავის არაფერს არ უთანხმებდნენ და მათ თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა.

სასამართლოების მიერ გამწარებული არაერთი ადამიანი მოგვმართავდა ჟურნალისტებს, დავხმარებოდით და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საქმეების შესწავლისას აღმოვაჩინეთ, რომ სასამართლოს თავმჯდომარეები იუსტიციის საბჭოს წევრები იყვნენ; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე ბრძანდებოდა იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, ახლა რომ მამა აბრამის ბატკნად მოაქვს თავი. ამასთან ის კიდევ ორ საკვანძო თანამდებობას იკავებდა სასამართლო ხელისუფლებაში. ამით კი სასამართლო ხელისუფლების ყველა სადავე მას ეპყრა.

არჩევნებამდე ჟურნალისტებმა გამოკითხვა ჩავატარეთ. გამოკითხულთაგან არც ერთს არ უთქვამს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილს და სასამართლოს ენდობოდნენ.

ახლა ეს ხალხი ცდილობს, კვლავ შეინარჩუნოს გავლენა.

საზოგადოება შეაწუხა ამდენმა ლაპარაკმა კოჰაბიტაციაზე. საზოგადოებას ნაციონალებთან კოჰაბიტაცია რომ სდომებოდა, 1 ოქტომბერს „ოცნებას“ ხმას არ მისცემდა. ამიტომ, ხალხისთვის შემაწუხებელია დანაშაულობებში ეჭვმიტანილი ნაციონალების ოპოზიციად წარმოდგენა და მათი ყოველდღიური კაკანი, პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევის მიზნით, თითქოსდა მათი შევიწროვება ხდება და ნაციონალების სახით თითქოს წმინდანები გვესაუბრებიან. ახლა საჯილდაო ქვა საერთო სასამართლოების შესახებ კანონი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევის წესი გახდა. ნაციონალები გამუდმებით იმეორებენ, რომ „ოცნება“ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს არ ასრულებს. „ოცნება“ კი ამბობს, რომ ასრულებს.

ისე, ნაციონალებს ყველა უცხოელი მომადლიერებული ჰყავდათ. მათ შორის, ჯანი ბუკიკიო. რამდენიმე წლის წინ, როცა დემეტრაშვილის კომისია ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობდა, ბუკიკიო თბილისში იმყოფებოდა. მაშინ სააკაშვილმა ის ორდენით დააჯილდოვა და არც მისი რეკომენდაცია გაუთვალისწინებია.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ კიდევ ერთხელ აუხსნა ჟურნალისტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 15 კაცით. ნაციონალების დროს ამ 15 კაცში პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელი იყო ერთი.

— ჩვენ ვამბობთ, რომ ექვსივე წევრი უნდა აირჩიოს პარლამენტმა. თუმცა, პარლამენტის წევრებს თავად არ აქვთ არც ერთი კანდიდატურის წარდგენის უფლება. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ უმაღლეს სასწავლებელს, ადვოკატთა ასოციაციას და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სასამართლოებში ეწეოდნენ სამართალწარმოებას. მაგალითად, ასეთი ორგანიზაციაა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი და კიდევ რიგი სხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც ადამიანებს იურიდიულ დახმარებას უწევდნენ და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სასამართლოებში ეწეოდნენ ადვოკატირებას. მათ მხოლოდ წარდგენა შეუძლიათ. შეუძლიათ წარადგინონ: პირი,




რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და, სულ ცოტა, 10 წლის პროფესიული მუშაობის გამოცდილება. უნდა იყოს აღიარებული, როგორც სამართლის დარგის სპეციალისტი და აკმაყოფილებდეს მაღალ მორალურ კრიტერიუმებს. ასეთ ორგანიზაციებს შეეძლებათ სამ-სამი პირის წარდგენა პარლამენტისთვის. შემდგომ უკვე პარლამენტმა უნდა აირჩიოს. აქ დგება უკვე საკითხი, სად იყო და იყო თუ არა წინააღმდეგობა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან, — განმარტავს ვახტანგ ხმალაძე.

ვენეციის კომისიამ გამოთქმა შენიშვნა, რომ მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად, შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს, პრაქტიკულად, მთელი შემადგენლობა. რადგან ეს შეცვლის საშიშ პრეცედენტს, რომ პოლიტიკური ხელისუფლების ყოველი შეცვლის შემდეგ, შეიძლება ახალმა ხელისუფლებამ მსგავსი რამ გაიმეოროს. ამის პასუხად, ვახტანგ ხმალაძე ამბობს:

— ჩვენ გადავდგით შემდეგი ნაბიჯები: პირველი — იმ პირთაგან, ვინც დღეს არის იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში (ასეთია 8 პირი) და არ აქვს თანამდებობრივი შეუთავსებლობა, ასეთია ერთი. მას არავინ ეხება. ის რჩება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ვისაც აქვს თანამდებობრივი შეუთავსებლობა ასეთია 7 პირი. 7 პირს უფლებამოსილება ავტომატურად არ უწყდება. კანონი ამბობს, რომ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, მოსამართლეთა კონფერენციამ უნდა აირჩიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 წევრი. კენჭის ყრის უფლება ეძლევა, ვინც დღესაც არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ან თანამდებობრივი შეუთავსებლობაა, ან მოსამართლეთა კომიტეტის მიერ არის არჩეული, რაც ასევე დაუშვებელია. მათ ეძლევათ უფლება იყარონ კენჭი. თუ მათ მოსამართლეთა კონფერენცია აირჩევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისინი ახალი ოთხწლიანი ვადით იქნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. ხოლო თუ მოსამართლეთა კონფერენციამ ისინი არ აირჩია, მათ მოუწევთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დატოვება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქნებიან არჩეულები, მათ შეუწყდებათ უფლებამოსილება იმ შეუთავსებელ თანამდებობაზე, რომელიც დღეს უჭირავთ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, ან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. თუ მათ კენჭი იყარეს და მოსამართლეთა კონფერენციამ მხარი დაუჭირა, მაშინ ისინი იქნებიან საბჭოს წევრები და აღარ იქნებიან სასამართლოს თავმჯდომარეები. ამით ჩვენ ავტომატურად არ ვუწყვეტთ უფლებამოსილებას ამ 7 კაცს. მათთვის უფლებამოსილება რომ შეგვეწყვიტა, მაშინ ისინი კენჭს ვეღარ იყრიდნენ. მოსამართლეთა კონფერენციის მხრიდან ნდობის გამოცხადების შემთხვევაში მათ ექნებათ იუსტიციის საბჭოს წევრობის შესაძლებლობა კიდევ 4 წლის განმავლობაში.

ვახტანგ ხმალაძე ამბობს, რომ ისინი იყვნენ არჩეული არადემოკრატიული წესით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, უბრალო უმრავლესობით და თვითონ ეს წესი იყო არადემოკრატიული.

— ჩვენ არადემოკრატიულ წესს ვცვლით დემოკრატიული წესით. იმავდროულად ვეუბნებით, თუ გნებავთ იუსტიციის საბჭოს წევრობა, იყარეთ კენჭი. თუ მოსამართლეები გენდობიან, მაშინ გახდებით იუსტიციის საბჭოს წევრები კვლავ 4 წლით. ერთია, როდესაც თქვენ ხართ თანამდებობაზე და გადიხართ კენჭისყრაზე, ამ დროს თქვენ გაქვთ გარკვეული ფორა სხვების წინაშე, მეორეა, როდესაც ყველანი — მეც, თქვენც და ყველანი გავდივართ ასარჩევად. ისინი იყვნენ არჩეული არადემოკრატიული წესით, ჩვენ შემოგვაქვს დემოკრატიული წესით არჩევნების პირობები. ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში წერია, რომ არ იქნება კარგი, თუკი ყველას ერთად შეუწყდება უფლებამოსილება. მაგალითად, შესაძლებელია განხილულ იქნას მათი დამტკიცების შესაძლებლობა. ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი. გამოდის, რომ თუ არ დაამტკიცეს, შეუწყდება. თან ყველას. ჩვენ ვამბობთ, მოდით დამტკიცებაზე კი ნუ წავალთ, გავაკეთოთ უფრო დემოკრატიულად. მივცეთ საშუალება ყველას, ხელახლა იქნენ არჩეული. თუ აირჩევენ, ოთხი წლით დარჩებიან თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ, საერთოდ, ეკრძალებათ წევრებს მეორეჯერ იუსტიციის საბჭოში წევრად არჩევა, — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

იუსტიციის 6 წევრზე, რომელსაც პარლამენტი ირჩევს, ვენეციის კომისია ამბობს, რომ საჭიროა პარლამენტმა შემოიღოს რაიმე ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პირთა არჩევაში საპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობას, რათა ოპოზიციის თანამონაწილეობის გარეშე არ მოხდეს მათი არჩევა, მაგრამ იმავდროულად უნდა იქნას მოფიქრებული მექანიზმი, რომელიც საშუალებას არ მისცემს საპარლამენტო უმრავლესობას, არჩევნები შევიდეს ჩიხში.

— ვენეციის კომისია ამბობს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ორი მესამედით არჩევა, ოღონდ ჩიხიდან გამოსვლის მექანიზმის გათვალისწინებით. ჩვენ ვამბობთ ასეთ რამეს — ეს 6 წევრი პარლამენტმა აირჩიოს ორი მესამედის უმრავლესობით. ეს შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. ჩიხიდან გამოსავალი რა არის? თუ ორი მესამედით არავინ იქნა არჩეული, ან ოთხი, სამი, ან ხუთი იქნა არჩეული, მაგრამ ექვსივე არ იქნა არჩეული ორი მესამედით, მაშინ უნდა არსებობდეს მექანიზმი, როგორ ავირჩიოთ ისე, რომ საბოლოოდ 6 კაცი იყოს. ასეთ მექანიზმად ჩვენ კანონში ვწერთ, რომ თუკი არჩეულ პირთა რაოდენობა (2/3-დან) აირჩა უფრო ნაკლებით, ვიდრე ასარჩევია, მაშინ იმართება კენჭისყრის მეორე ტური, სადაც უკვე ვინც არ არის არჩეული, მათ ხელახლა ეყრებათ კენჭი და ვინც მოაგროვებს ნახევარზე მეტ ხმას ან მეტს, მათგან საუკეთესო შედეგის მქონენი, ჩაითვლებიან არჩეულებად. ოღონდ, აქაც არის ერთი პირობა — აუცილებლად უნდა დარჩეს ის პირობა, რომ ამ 6-დან ორი მაინც აუცილებლად უნდა იყოს არჩეული მხოლოდ ორი მესამედის უმრავლესობით. ე.ი. 6-დან 4-ზე მეტი ვერ იქნება არჩეული აბსოლუტური უმრავლესობით.

ნაციონალებს უნდათ, იმ ოთხიდან 2 წევრის არჩევის უფლება მათ ჰქონდეთ. ჩვენ ვამბობთ, რომ შევთანხმდებით კანდიდატურებზე, კანდიდატურა იქნება ბევრი. მოდით ყველა ავირჩიოთ ორი მესამედით. ნებისმიერი სხვა ვარიანტი რომ განიხილოთ, ვთქვათ, ორი წევრი დაინიშნოს საპარლამენტო უმცირესობამ. კითხვა ისმება, რატომ საპარლამენტო უმცირესობამ? ხომ არის კიდევ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ, ხომ არიან კიდევ დეპუტატები, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ შედიან?

საბოლოოდ „ოცნება“ თანხმდება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრი ორი მესამედით იქნას არჩეული. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ნაციონალურ უმცირესობას 2-კაციან ქვოტას აძლევენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რადგან უმცირესობას თავისი კანდიდატურის გასაყვანად ორი მესამედი დეპუტატებისა არ ჰყავს. თუმცა, ვახტანგ ხმალაძე უარყოფს, რომ ნაციონალებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ქვოტას აძლევენ. ამაზე ვახტანგ ხმალაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან კომენტარში ისაუბრა.

***— ბატონო ვახტანგ, საერთო სასამართლოების შესახებ კანონით თუ იუსტიციის საბჭოს ორ წევრს პარლამენტი ორი მესამედით დაამტკიცებს, ხოლო 4 წევრს უფრო ნაკლებით, ეს სამართლებრივი ნონსენსი არ იქნება?***

— ეს სამართლებრივი ნონსენსი არ არის. მას მე ვუწოდებდი ესთეტიკურ უხერხულობას, როცა ამოგივიდათ მუწუკი, მაგრამ თქვენ ისევ დარჩით ისეთად, როგორიც იყავით, — თქვენ ისევ თქვენ ხართ, ოღონდ, ეს მუწუკი რაღაცნაირად გამახინჯებთ.

***— მაპატიეთ, მაგრამ ეს მუწუკი ნაციონალური მოძრაობაა, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კვოტას ითხოვს?***

— არა. მე ვამბობ, ამ შემთხვევაში მუწუკი არის ის, რომ პარლამენტის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრები სხვადასხვა კვოტით, სხვადასხვა ქვორუმით შეიძლება აღმოჩნდნენ დამტკიცებულნი.

***— ეს ნაციონალური მოძრაობისთვის იუსტიციის საბჭოში კვოტის მიცემა არ არის? მათ გარეშე ხომ ვერ დაამტკიცებთ იუსტიციის საბჭოში წარდგენილ პირს?***

— არა, კვოტის მიცემა არ არის. ნაციონალების გარეშეც ვერ გავა 2/3-ით დასამტკიცებელი იუსტიციის საბჭოს წევრი, მაგრამ ჩვენი მხარდაჭერის გარეშეც ვერ გავა, ანუ უნდა მოიძებნოს ისეთი კაცი, რომელსაც „ნაციონალების“ ნაწილიც მხარს დაუჭერს და „ოცნებისაც“.

***— ასეთი პიროვნებები შეიძლება მოძებნოთ?***

— პოლიტიკურად ნეიტრალური რამდენი პიროვნებაა. მაგალითად, როდესაც კონსტიტუციის ცვლილებების განხილვას ვიწყებდით, ჩვენ 2008-9 წელს არსებული საკონსტიტუციო კომისიის რამდენიმე წევრი ახლანდელ კომისიაში მოვიწვიეთ იმიტომ, რომ პროფესიონალები არიან. მერე რა, რომ იმ კომისიის წევრები იყვნენ.

***— თქვენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის პარლამენტის 2/3-ით არჩევას (დანარჩენის კი ნაკლები ქვორუმით) უხერხულობა უწოდეთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ პარლამენტის მიერ 2 კაცი დამტკიცებულია ორი მესამედით, დანარჩენები კი — გაცილებით ნაკლები კვოტით. ეს სამართლებრივად რამდენად სწორია?***

— ხომ ვთქვი, მუწუკი არ არის სასიამოვნო, როცა გაქვს ლოყაზე, მაგრამ გამოდის ხოლმე ეს მუწუკი და რა ვქნა?!

***— იძულებული ხართ, ეს გააკეთოთ ვენეციის კომისიის თუ ნაციონალების ზეწოლის გამო?***

— „ნაციონალები“ რომ გაიძახიან, „ქართული ოცნება“ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს არ ასრულებს, არ ასრულებს, არ ასრულებსო. რამდენჯერაც უნდა ავუხსნათ, რომ ვასრულებთ. მაინც არ იჯერებენ. ახლა ვამბობთ, ხომ წერია ორი მესამედით უნდა დამტკიცდესო, აჰა, ესეც თქვენ ორი მესამედი გქონდეთ.

***— „ნაციონალები“, მგონი, არც მაგაზე არიან თანახმა.***

— „ნაციონალები“ თანახმა იქნებიან მხოლოდ ერთ რამეზე — მოსამართლეთაგან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრები დანიშნოს კუბლაშვილმა, პარლამენტიდან კი — თავად პარლამენტის ნაციონალმა წევრებმა.

ისე, როდესაც სასამართლო ხელისუფლებას ისევ კუბლაშვილი უდგას სათავეში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილია და მოსამართლეთა კორპუსიც უცვლელია, რომელ სასამართლოს დამოუკიდებლობაზეა საუბარი. სამწუხაროდ, მოსამართლეთა უდიდესი უმრავლესობა სააკაშვილმა თავის დანაშაულებრივ საქმეებში ჩაითრია. თანაც ისინი თავიდანვე პარტიული ერთგულების ნიშნით იქნენ შერჩეული.

# ირაკლი ალასანია: „საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად „ქართული ოცნება“ პრაიმერს არ ჩაატარებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წავლიდა. კომისია მართლაც შეიქმნა და ათასზე მეტი სამხედრო უკან დააბრუნეს. ამ თემაზე გუშინ ირაკლი ალასანიამაც ისაუბრა

— ძალიან ბევრი ღირსეული სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილი იყო ან პირადი დამოკიდებულების გამო ხელმძღვანელობის მხრიდან, ან პოლიტიკური ნიშნით. 1 100 უკვე აღდგენილია და თუ არ ვცდები, 400 ადამიანის საქმე არის შესწავლის საბოლოო სტადიაზე. მე კმაყოფილი ვარ ამ კომისიის მუშაობის, მაგრამ ყველაფერს აქვს ხანდაზმულობის ვადაც და უსასრულოდ ვერ გააგრძელებდა მუშაობას, — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა საკონტრაქტო ჯარზე გადასვლაზეც ისაუბრა. ალასანია გვპირდება, რომ საკონტრაქტო ჯარზე 2016 წლის ბოლოს, 2017 წლის დასაწყისში გადავალთ.

— დღეს, პრაქტიკულად, 75% გვყავს საკონტრაქტო მომსახურე ჯარში. უკვე დავიწყეთ ნაბიჯების გადადგმა სამართლებრივადაც და როდესაც პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებს, შემცირდება სავალდებულო სამსახური 15-დან 12 თვემდე. მაგრამ, მინდა გაითვალისწინოთ, რომ პროფესიულ არმიაზე გადასვლას ბუნებრივად ებმის რეზერვის მომზადების, მობილიზაციის გეგმის შემუშავების სტრატეგია. გუშინ ძალიან ხანგრძლივი საუბარი გვქონდა და განხილვა გაერთიანებულ შტაბში. მაისში ჩვენ, პრაქტიკულად, დასრულებული გვექნება ეს გეგმა. ეს ორი პარალელური, თანმდევი პროცესი უნდა იყოს — პროფესიულ არმიაზე გადასვლა და საბრძოლო, ტერიტორიული და სამოქალაქო რეზერვის შექმნა. ამას აქვს თავისი ფინანსური გათვლები. რა თქმა უნდა, თუკი ფინანსთა მინისტრი არ დაგვეთანხმება, მივიღებთ გადამჭრელ, მძიმე ზომებს მის მიმართ, რომ დაგვაფინანსოს, — ხუმრობით აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

არადა, რა კარგი იქნებოდა, ალასანიას სერიოზულად ეთქვა. რა სკანდალი აიწეოდა უცბად!

# ირაკლი ალადაშვილი: „უნდა გაირკვეს, როგორ მოხვდნენ შეიარაღებული ჩეჩნები ლაფანყურში“

ნათია ხურცილავა

**სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი სახალხო დამცველის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც უჩა ნანუაშვილმა ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ გააკეთა.**



სამხედრო ანალიტიკოსის ირაკლი ალადაშვილის განცხადებით, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება ამდენ ხანს არ უნდა გაჭიანურებულიყო.

სამხედრო ექსპერტმა გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ალადაშვილის განცხადებით, ომბუდსმენის ყოველწლიურ ანგარიშში თამამი და საინტერესო განცხადებები იყო.

— ომბუდსმენის ანგარიშში თამამი განცხადებები და საინტერესო მიმართულებები იყო. ლაფანყურის სპეცოპერაციამ ბევრი კითხვა დაბადა, რომლებზეც პასუხი დღემდე არ არის გაცემული. ვისურვებდი, რომ პროკურატურიდან და საგამოძიებო ორგანოებიდან საბოლოო დასკვნა დროულად მიგვეღო: რა მოხდა, რამ გამოიწვია და რა შეიძლებოდა მომხდარიყო. გამოძიება ამდენ ხანს არ უნდა გაჭიანურებულიყო, — განაცხადა ალადაშვილმა.

სამხედრო ექსპერტი გასული წლის აგვისტოში ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს რამდენიმე ფაქტს უკავშირებს.

ირაკლი ალადაშვილის განცხადებით, შესაძლოა, ეს პროცესი ე.წ. გარდამავალ პერიოდს უკავშირდებოდეს, რადგან პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებში დღემდე მომუშავე ადამიანებს ლაფანყურის სპეცოპერაციაში საკუთარი როლის გამოაშკარავება არ სურდეთ.

სამხედრო ანალიტიკოსის თქმით, თუკი გამოძიება ამგვარად გაჭიანურდა, არ არის გამორიცხული, დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა აუცილებელი გახდეს.

როგორც ცნობილია, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიების მიზნით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას სახალხო დამცველი ითხოვს. უჩა ნანუაშვილი სწორედ ამ მოთხოვნით მიმართავს საკანონმდებლო ორგანოს.

როგორც ირაკლი ალადაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, საიდან მოხვდნენ შეიარაღებული ადამიანები ლაფანყურში.

— უნდა გაირკვეს, საიდან მოხვდა ეს ჯგუფი იქ. სად პანკისის ხეობაა და სად ლაფანყური. იმ იარაღის გადატანა, რაც მათ ჰქონდათ, ხელით, მთებით, ადვილი არ არის. ამიტომ უნდა დადგინდეს — თუ ისინი ლაფანყურში მივიდნენ ხელისუფლების დახმარებით, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. თუ მივიდნენ მთავრობის დახმარების გარეშე, ეს მეორე უარესობაა. ეს ნიშნავს, რომ ანტიტერორისტული ცენტრი და შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ აკონტროლებდა ამდენ შეიარაღებულ პირს. ჩემი პირადი აზრია, რომ ეს რაღაცნაირად დაკავშირებული იყო საპარლამენტო არჩევნებთან. თუ არეულობა მოხდებოდა, რუსეთი დაგვაბრალებდა, რომ საქართველო ტერორისტებს მიგზავნისო, საქართველოდან კი საპირისპირო ბრალდებები წავიდოდა. შეიძლებოდა, ამ ყველაფერს დაეძაბა სიტუაცია და ეს ან ჩაშლიდა, ან რაიმე გავლენას მოახდენდა საპარლამენტო არჩევნებზე. თუ არჩევნები ჩაიშლებოდა, ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა. თუმცა, ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და დამტკიცება სჭირდება, — აღნიშნა ალადაშვილმა.

ირაკლი ალადაშვილის თქმით, რუსეთი საქართველოს საზღვრებთან ჩასაფრებული იყო და იმ ჯგუფიდან ორი კაციც რომ გადასულიყო საზღვარზე, ამაზე სერიოზული ამბავი ატყდებოდა, მით უმეტეს, მანამდე პრესაში მთელი აჟიოტაჟი ჰქონდათ ატეხილი.

— და თუ საქართველოს ხელისუფლებამ მართლაც არ იცოდა ამ ჯგუფის შემოსვლის შესახებ, ვიმეორებ, გამოდის, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას ვერ იცავდნენ. ამასთან საეჭვოა მსხვერპლის რაოდენობა და სიკვდილის მომენტში ჯგუფის წევრების მდგომარეობა. რამდენიმე მათგანი მძინარე იქნა მოკლული, ანუ ისინი საბრძოლო მზადყოფნაში არ იყვნენ. ამასთან, მათთან მოლაპარაკება შესაძლებელი იყო და თავისუფლად შეეძლოთ მსხვერპლი თავიდან აეცილებინათ. 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა პანკისში ვითარება ძალიან დაიძაბა, ამ ხეობაში 700-800 შეიარაღებული პირი გახლდათ მობილიზებული. მაშინ მე სამხედრო ჟურნალისტი ვიყავი და იქ ხშირად ჩავდიოდი. იმ ვითარებაში, იმ შემადგენლობასთან მოხერხდა მოლაპარაკების გზით უსისხლოდ სიტუაციის განმუხტვა და ახლა, მით უმეტეს, შესაძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ლაფანყურის სპეცოპერაცია მაშინდელმა ხელისუფლებამ საპარლამენტო არჩევნების ჩაშლის მიზნით დაგეგმა და ჩაატარა, — განაცხადა ირაკლი ალადაშვილმა.

ალადაშვილი ასევე შეეხო აგვისტოს ომის საკითხს. ირაკლი ალადაშვილი მომხრეა, 2008 წლის აგვისტოს ომი ჰააგის ტრიბუნალმა გამოიძიოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ომის მონაწილე სამივე მხარისგან იქნება მიწოდებული.

როგორც ალადაშვილმა განაცხადა, ობიექტური დასკვნის შემუშავება მხოლოდ სამივე მხარის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზეა შესაძლებელი.

— ყველა ომში ხდება დანაშაული. ომი თვითონ დანაშაულია, მაგრამ დანაშაული ხდება სხვადასხვა დონეზე. ერთია — რიგითის დონეზე, მეორე — პოლიტიკოსების. ომს პოლიტიკოსები იწყებენ, სამხედროები მათი იარაღია. მე მომხრე ვიქნები, 2008 წლის ომი ჰააგის ტრიბუნალმა გამოიძიოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ობიექტურად იქნება სამი მხრიდან გამოძიებული — საქართველო, რუსეთი და სეპარატისტები. მასთან, ცალკე მიმართულება უნდა იყოს აფხაზეთი, ცალკე სამხრეთ ოსეთი. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა არ შეუშვა ჰააგის ტრიბუნალის წარმომადგენლები და არ მისცა მასალები, არ მიმაჩნია, რომ ეს იქნება ობიექტური. პირიქით, იმით მივცემთ საშუალებას თქვან, რომ ქართველებმა ჩაიდინეს დანაშაული, — აღნიშნა ალადაშვილმა.

# სააკაშვილი მთავრობისგან განმარტებებს ითხოვს

ნათია ხურცილავა

**პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტ სააკაშვილის პოზიცია გაახმოვანა, რომელიც თურქეთსა და საქართველოს ახალ თანამშრომლობას შეეხება, ორი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასთან დაკავშირებით.**

მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი თურქეთთან გასაფორმებელი ხელშეკრულება მიუღებელია, რადგან რაბათის ციხის განადგურებას ითვალისწინებს.

— მინდა, გაგაცნოთ დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოვიდა საქართველოს მთავრობიდან და მომზადებულია საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების მიერ. დოკუმენტი არის გრიფით „ფრიად სასწრაფო“ და შეეხება ქართული და თურქული ძეგლების დაცვას ორი ქვეყნის ტერიტორიაზე.

გაგაცნობთ რამდენიმე პარაგრაფს ამ დოკუმენტიდან: „საქართველოს მხარე თურქეთის რესპუბლიკის ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოსმალური კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებთან მიმართებაში განახორციელებს შემდეგ სამუშაოებს: მე-18 საუკუნეში აჰმედ ფაშას მიერ ახალციხეში აგებული აბანოს კომპლექსის რესტავრაცია, მე-18 საუკუნეში აჰმედ ფაშას მიერ ახალციხის ციხეში აგებულ მეჩეთსა და მედრესეზე 2012 წელს წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოებისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორება: გუმბათის ფერის შეცვლა (გუმბათის არსებული ოქროსფერი საფარის ტყვიისფერით ჩანაცვლება), პირვანდელი რკინის ცხაურების დაბრუნება, ნაგებობების გარშემო სადრენაჟო სისტემის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მოსაპირკეთებელი მასალის გაუმჯობესება. ქართული მხარე ვალდებულებას იღებს გამოიტანოს მეჩეთის შიდა სივრციდან ჯვრის გამოსახულებიანი შუა საუკუნეების ქვის რელიეფები, რომელიც ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას“.

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ერთი მხრივ ის, რომ მთავრობა გამოდის მოლაპარაკების ამგვარი ინიციატივით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამდენიმე დღეში იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, პრეზიდენტი თურქეთში ვიზიტით მიემგზავრება და გაუგებარია აღნიშნულ ვიზიტამდე რატომ ხდება პროცესის დაჩქარება.

— გაკვირვებას იწვევს შეთანხმების ტექსტიც, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის ვიზიტამდე ჩვენ ვერ ვხედავთ ამ პროცესის დაჩქარების აუცილებლობას.

სამწუხაროა, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღება ხდება ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება როგორც თავის თურქ კოლეგას, ასევე თურქეთის პრემიერ-მინისტრს და შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით, გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზეც ისაუბრებენ, — აღნიშნავს მანჯგალაძე.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება განახლებული რაბათის განადგურებას ნიშნავს.

— ვფიქრობთ, ეს რეალურად ნიშნავს დღევანდელი რაბათის ციხის განადგურებას, რომელიც მთავარი კულტურული და ტურისტული ძეგლია ამ ტერიტორიაზე და არის მესხეთის სიამაყე. ეს ნიშნავს იმას, რომ წყალში ჩაიყრება იმ ათასობით სპეციალისტის შრომა, რომლებმაც აღადგინეს და საქართველოს დაუბრუნეს ეს უმნიშვნელოვანესი კულტურული და ისტორიული ძეგლი. ნამდვილად არ მიგვაჩნია, რომ ეს იყოს თურქული მხარის მოთხოვნა, ლაპარაკია გაუგებრობაზე, რომელიც მოდის საქართველოს მთავრობის მხრიდან. უახლოეს დღეებში, პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტისას, ეს თემა საბოლოოდ გაირკვევა. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული სიმბოლოების გატანა ტერიტორიიდან და გუმბათის განადგურება, როგორც ეს დოკუმენტშია აღნიშნული, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. განცხადებები კეთდებოდა ასევე კულტურის სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან მაღალი მინარეთების მიშენების თაობაზე, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ძეგლი არსებული ფორმით განადგურდება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ გვსურს კარგი ურთიერთიბა თურქეთის რესპუბლიკასთან. ალბათ გახსოვთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე თურქული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის ინიციატორებიც ვიყავით, მაგრამ საქართველოს მთავრობის დღევანდელი შეთავაზება არის სულ სხვა რამ — ეს არის ძალიან სახიფათო და მიუღებელი ჩვენი ქვეყნისთვის, რასაც საქართველოს პრეზიდენტი არასდროს არ დათანხმდება, — აღნიშნავს მანანა მანჯგალაძე.



პრეზიდენტი, როგორც მისმა პრესსპიკერმა განაცხადა, საქართველოს მთავრობისგან საჯარო ახსნა-განმარტებას ითხოვს.

— ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით საჯაროდ გააკეთოს განმარტებები. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს არ არის საიდუმლო და დახურული მიმოწერის თემა. უცნაურია, რომ ამას ითხოვს მთავრობა, თანაც დაჩქარებული წესით. ამ დოკუმენტში ლაპარაკია ნგრევასა და განადგურებაზე. აქ საუბარია ქრისტიანული სიმბოლოების გატანაზე, რომელსაც განსაკუთრებულად უნდა მოვეპყროთ, ისევე, როგორც, რა თქმა უნდა, მუსლიმანურ სიმბოლოებს. ეს არ არის თურქეთ-საქართველოს პრობლემა. ეს არის იმ ტენდენციის გაგრძელება, რომელსაც ბოლო პერიოდში ვხედავთ და ვისმენთ — მიწასთან გაასწორონ და დაანგრიონ ის, რაც ბოლო წლებში საქართველოში აშენდა და გაკეთდა, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

# მამუკა კაციტაძე: „იანვარ–თებერვალში არჩევნები არ უნდა ჩატარდეს“

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ გუშინ პრესკონფერენცია ჩაატარა და ჟურნალისტებს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე ესაუბრა.**

„ახალი მემარჯვენეები“ მიიჩნევენ, რომ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტში შექმნილ ინტერფრაქციულ ჯგუფში პარტიების მონაწილეობის მიზანს ამ პროცესში პოლიტიკურ ძალთა მაქსიმალური ჩართულობა და მათ შორის მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე საარჩევნო კოდექსის მიღება წარმოადგენდა.



თუ ცვლილებები ეტაპობრივად და ფრაგმენტულად განხორციელდება, ისე, რომ მასში ჩართული არ იქნებიან ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალები, ეს შეამცირებს არა მხოლოდ ამ პროცესის ეფექტურობას, არამედ საყოველთაო ნდობას საარჩევნო კოდექსის მიმართ.

— „ახალი მემარჯვენეები“ ამ კონტექსტში განვიხილავთ საკრებულოში გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესთან დაკავშირებით მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს და ვთვლით, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა ასეთი ცვლილებები ფრაგმენტულად არ განხორციელდეს და კოდექსის საბოლოო სახე სწორედ ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობის შედეგად განისაზღვროს.

რაც შეეხება ახალი ინიციატივის შინაარსს, ამასთან დაკავშირებით „ახალ მემარჯვენეებს“ გვაქვს შენიშვნები წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართ და მათი გათვალისწინება სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, — განაცხადა კაციტაძემ.

მამუკა კაციტაძე დასძენს: დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ მისაღებია არჩევნებამდე დარჩენილი ვადის 2 წლიდან ერთ წელზე დაყვანა, რაც ლოგიკურია თუკი პრინციპად ვაცხადებთ, რომ ოლქი ხანგრძლივი ვადით მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე არ უნდა რჩებოდეს.

— რაც შეეხება შენიშვნებს: გაუგებარია საკანონმდებლო ინიციატივის ავტორთა არგუმენტები, თუ რატომ უნდა ჩატარდეს არჩევნები გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატების ასარჩევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დეპუტატების რაოდენობა 3-ს მიაღწევს. თუ საუბარია, რომ ოლქი მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე არ უნდა დარჩეს, ეს წესი უნდა მოქმედებდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ხდება რომელიმე ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული თუნდაც ერთი დეპუტატის გამოკლება, — ასეთია „ახლების“ პოზიცია.

მამუკა კაციტაძე:

— ჩვენი აზრით, მიუღებელია იმ თვეების ჩამონათვალში, როცა შეიძლება შუალედური არჩევნები ჩატარდეს, ივნისთან და ოქტომბერთან ერთად თებერვლის დამატებაც, რადგან იანვარ–თებერვალი ძალიან ცუდი თვეებია წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად და არჩევნების ჩასატარებლად კლიმატური პირობების გამო.

ამავე დროს, „ახალი მემარჯვენეები“ ვთვლით, რომ თუკი რაიმე ცვლილება იყო სასწრაფო და დროულად განსახორციელებელი, ეს ეხება იურიდიული პირებისათვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესაძლებლობის აკრძალვის გაუქმებას და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა პირველ ტურში გამარჯვებისათვის 30%-იანი ბარიერის 50%-მდე გაზრდას. სამწუხაროა, რომ ამ ცვლილებების მიღწევა, რომელსაც პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური პარტია ეთანხმება, 27 აპრილის პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის ვერ მოხერხდა. „ახალი მემარჯვენეების“ მოთხოვნაა, თუკი მმართველი კოალიცია მაინც ახორციელებს ფრაგმენტულ ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში, პირველ რიგში, სწორედ ეს ცვლილებები განხორციელდეს.

# ბანკი ხალხის მტერია?!

როლანდ ხოჯანაშვილი

**საქართველოში გაბატონებულია აზრი, რომ ბანკი ჩვენი (მოსახლეობის) მტერია. საბანკო სისტემის მანკიერ მხარეებზე „ახალ თაობას" ესაუბრება ანდრო ჭილაია, მარკეტინგისა და ბრენდინგის კონსულტანტი.**

***— ბატონო ანდრო, საქართველოში საბანკო სისტემა სპეციფიკურია. მისი პროდუქტების ისე არი შეფუთული , რომ მიმზიდველია და არც ისე მომგებიანია ფართო მასებისთვის. რით ახსნით ამ ფაქტს?***

— თავიდან აღსანიშნავია ის, რომ ბანკი კლიენტს არ უნდა აღიქვამდეს მსხვერპლად, რა თქმა უნდა, ბანკი საქველმოქმედო დაწესებულება არ არის, მაგრამ თუ მან არ დააფასა თავისი კლიენტი და არ შეუქმნა პირობა, რომ მეორედაც ისარგებლოს მისი მომსახურებით და დაამყაროს ხანგრძლივი ურთიერთობა, რისგანაც ჩვენი ბანკები შორს დგანან, სამწუხაროდ, არაფერი კარგი არ გამოვა. საკუთარ მაგალითზე შემიძლია გითხარათ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ბანკის კლიენტი ვარ 10 წელიწადზე მეტია, დამოკიდებულება ისეთია, თითქოს 1 დღის მისული ვიყო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სერვისს, კლიენტის ბანკში მისვლიდან დაწყებული შემდგომი ურთიერთობით გაგრძელებული; საქართველოში საბანკო სექტორს სერიოზული დეფიციტი გააჩნია. აუცილებელია პერსონალის დატრეინინგება კლიენტებთან ურთიერთობაში, ამის სერიოზულ დეფიციტს არაერთხელ გადავაწყდი, ზედაპირული საუბარი რომ არ გამომივიდეს, მარტივ მაგალითს მოვიყვან: მიზეზთა გამო საკრედიტო ბარათზე ორი კვირით გადავაცილე თანხის შეტანა; დაუყონებლივ მირეკავს ე.წ. პრობლემური განყოფილების თანშრომელი გოგონა, უდიერად მელაპრაკება და იმდენ უხამს სიტყვას ხმარობს, ოფიციალური „საუბრისას", რომ ეს უფრო ისტერიული კივილია, ვიდრე კომუნიკაცია. როგორც ცნობილია, უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. საკრედიტო ბარათის მაგალითი რომ განვიხილოთ, აქ რამდენიმე მომენტია. მომხმარებელს ხიბლავენ ისეთი შაბლონური ფრაზებით, როგორიც არის: „30 დღე 0%", „55 დღე საშეღავათო პერიოდი" და მისთანა; ამით მოხიბლული და მოტყუებული კლიენტი, რომელიც შემდგომ უფრო მსხვერპლი ხდება, არც ეძიება იმას თუ რა არი წვრილი შრიფტით გაწერილი კონტრაქტში რასაც მომხმარებელი აწერს ხელს. ბოლო დრომდე (2012 წლის მეორე ნახევარი), მომხრებელმა არც კი იცოდა, რომ მას უებნებოდნენ კრედიტის გარკვეულ პროცენტს, რეალურად მას სულ სხვა პროცენტი გამოსდიოდა დასაფარი. ბანკები არც წერდნენ კონტრაქტში, სანამ არ დაავალდებულეს, თუ რა განსხვავებაა წლიურ საპროცენტო განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის, აქედან წლიური საპროცენტო განაკვეთია ის, თუ როგორ ფუთავან ამ თუ იმ ბარათს ან სხვა პროდუქტს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კი, რელურად რისი გადახდა უწევს კლიენტს. ბანკების სხვადასხვა პროდუქტების მიხედვით სხვაობა შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ საგრძნობი, ანუ რელურად გაწერილ პროცენტზე, დაახლოებით 5-20%-ით მეტი. ასევე, მომხმარებელს რჩევის სახით ვეტყოდი, სანამ ბანკში რამე საბუთზე ხელს მოაწერდეთ, გულდასამით წაიკითხეთ, განსაკუთრებით კი ის ტექსტი, რაც წვრილი შრიფტითაა მოცემული.



***— ქართულ ფინანსურ ბაზარზე რამდენიმე ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის სიმპათიას არ იმსახურებენ. ძირითადად რის გამოა ასეთი დამოკიდებულება ფინანსურ ორგანიზაციებსა და კლიენტებს შორის?***

— საქართველოში დაახლობით 19 ბანკი და 70-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, თუმცა აქედან ხალხის ცნობადობით სარგებლობს 5-6 ბანკი და ამდენივე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ნეგატიური დამოკიდებულება კლიენტსა და ბანკს შორის იქნება მანამდე, სანამ კლიენტს განიხილავენ არა როგორც კლინტს, არამედ როგორც საფულეს. მიკროსაფინანსოები კი ისეთ პროცენტებს სთავაზობენ კლიენტებს, რომ მე ამას მევახშეობას უფრო ვუწოდებდი. აქაც ერთ მაგალითს მოვიყვან (ასევე ჩემი გამოცდილებიდან), მეგობარს სესხი უნდოდა და მთხოვა გავყოლოდი, მოვიდა ახალგაზრდა კრედიტოფიცერი, სტანდარტული კითხვების დასმისას ჰკითხა ჩემს მეგობარს, თუ რა მიზნისთვის უნდოდა მას სესხი. მეგობარმა თავაზიანად უთხრა, რომ ბინის რემონტისთვის, რაზეც იმისთანა პასუხი მივიღეთ, რომ ორივე გაოგენბულები დავრჩით: „სასახალის საყილდად რომ გდომოდა, მოგცემდით, ასე არა!" ასეთი დამოკიდებულება ქმნის ხალხში ნეგატიურ განწყობას. ასევე, ერთ-ერთ „ხრიკად," კლიენტის „დასაბმელად", ბანკი განზრახ სვამს მათ ურჩ გადამხდელთა სიაში, რათა სხვა ბანკში ვერ წავიდეს (ამ სიაში მოხვედრის შემდეგ, კლიენტს და მას ვინც თავდებში ედგა მსესხებელს, 7 წელი სისხის აღება აღარ შეეძლება), სადღეისოდ, ურჩ გადამხდელთა სიაში 300,000 მსესხებელზე მეტია, ასეთ „ხრიკებსაც" იყენებენ (ასევე ჩემი გაცდილებიდან).

***— როგორ შეაფასებდით ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩართვას სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში? 5 ათასიანი დაფინანსება უპროცენტოდ 6 თვის განმავლობაში ბანკს რა სარგებელს უნდა აძლევდეს?***

— ცალსახად ნეგატიურად. ჩემი აზრით, იმ ფონზე, რომ სახელმწიფოც მონაწილეობს ამ პროექტში, უმჯობესი იქნებოდა, გაკეთებულიყო სახელმწიფო აგრარული ბანკი, რომელიც მთლიანად ითავებდა ამ საკითხს. პროქტში ჩართულია 11 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ საბანკო სექტორს არ გააჩნია გამოცდილება ამ სეგმენტში და რა პირობებს უყენებს მსესხებლებს, შეიძლება ითქვას, რომ მცირე მეურნეობები ფაქტიურად სესხს ვერ მიიღებენ, მიზეზად კი ამა თუ იმ მეურნეობის საბანკო დაწესებულებიდან სიშორეს იმიზეზებენ. არ აფინანსებენ ე.წ. სტარტ უპ-ს ანუ ბიზნესის დასაწყებ სესხს არ გასცემენ, ასევე არ იძლევიან ბიზნესგეგმის გარეშეც, რისი კულტურაც ქართული სამეურნეო საქმისწარმოებაში ნაკლებად არის, რადგან არ უწევდა შეხება. გამოდის, რომ ამით ისევ მხვილი მეურნეობები იხეირებენ, ხოლო თუ ოქტომბრამდე არსებულ რეალობას გადავხედავთ, თავად განსაზღვრეთ, ვინ მოიაზრება „მსხვილ მეურნეებში".

***— თუ დაკვირვებიხართ, წამყვან ბანკებშიც კი უსაშველო რიგები დგას ოპერატორებთან, ხშირად სისტემაც არ მუშაობს, დასავლური საბანკო სისტემის გამართულობამდე ისევ შორია?***

— მიუხედავად იმის, რომ ყველა ბანკი იქებს თავს, თუ რა გამართულად მუშაობს, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ოპერატორს უთქვამს: „გთხოვთ, ცოტახანი მოიცადოთ, სისტემა დაეკიდა", ამის მიზი მეტწილად Iთ დეპრტამენტია, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას, მათი არაკვალიფიციურობა ან სიზარმაცე, ხანდახან კი თანხა, რომელიც გამოყოფილია ბანკის მიერ ამ სისტემის გამართული მუშაობისთვის, არ არის საკმარისი. აქაც ბანკი დიდად არ დარდობს, რადგან იცის, რომ კლიენტი მაინც მოიცდის. თუ მას შემოსატანი აქვს თანხა, მითუმეტეს, მაგალითად სესხის დასაფარად, მოიცდის, ვინაიდან, თუ დროულად არ დაფარა, ჯარიმა დაეკისრება.

***— რომელ ბანკს გამოარჩევდით, რომელიც კლიენტურისთვის შედარებით მისაღებია?***

— კლიენტმა ბანკი უნდა ამოარჩიოს ორი ძირითადი კრიტერიუმით: პროდუქტის სიიაფე და სერვისი. ამ კრიტერიუმებით ჩემთვის მისაღებია ორი ბანკი, თუმცა შეგნებულად არ დავუწყებ მათ რეკლამირებას, მომხმარებელს კი ვურჩევ, ნუ იხემძღვანელებთ მხოლოდ ტელევიზორში ნანახი ან რადიოში მოსმენილი რეკლამით, სანამ მიხვალთ ბანკში, ნახეთ საიტზე, ან კიდე კარგად გამოკითხეთ პერსონალი და მხოლოდ მერე გადაწყვიტეთ, თუ რა სჯობს თქვენთვის.

***— თქვენი აზრით, რომელ ბანკს აქვს უფრო მეტი პერსპექტივა?***

— იმას, ვისაც საკრედიტო ხაზი დაბალ პროცენტად ექნება მოზიდული, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამდინარე, საქართველოს განიხილავენ განვითარებად ქვეყნების კატეგორიაში, რის გამოც საკრედიტო ხაზის ფასიც უფრო ძვირია. თუ ის ამ თანხას გონივრულად აითვსისებს, ანუ ისეთ სესხებს გასცემს, რომელიც შემდგომ პრობლემური არ გახდება. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია ფაქტები, როდესაც ბანკი განზრახ გასცემდა სესხს ბინის ან მიწის უზრუნველყოფით, თუ ის პერსპექტიულად მიაჩნდა და იცოდა, რომ კლიენტს არ შესწევდა უნარი ვადაში დაეფარა ეს სეხსი ასეთი ფორმით, ის მარტივად ისაკუთრებდა მის ქონებას აღსრულების სამსახურის მეშვეობით. ასევე ბანკი ნაკლებად უნდა იყოს ორიენტირებული დეპოზიტებიდან მოზიდული სახსრების ბრუნვით.

# ბათუმში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს

ბათუმში, რამდენიმე დღის წინ, აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს შორის მომხდარი ინცინდენტის გამოძიების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიასა და მოქალაქე როინ ფარტენაძეს შორის მომხდარ ინციდენტზე.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 2013 წლის 28 მარტს, ბათუმში, გორგასლისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე, აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერიან თელია, სამსახურებრივი ავტომანქანით ახორციელებდა ოპერატიულ საქმიანობას, რა დროსაც მას საავარიო ვითარება შეუქმნა გორგასლის ქუჩიდან მიმავალმა „მერსედესი"-ს მარკის ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე როინ ფარტენაძე. ვალერიან თელიამ დამრღვევ მძღოლს ხმოვანი სიგნალი მისცა, რაზეც როინ ფარტენაძემ რამდენიმე ხმოვანი სიგნალით უპასუხა და თელიას ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვა. აღნიშნულის შემდეგ თელიამ ავტომანქანა უკან დასწია და გააჩერა. ავტომანქანიდან გადმოსული როინ ფარტენაძე აგრესიული იყო და ხმამაღალი ტონით მიმართავდა ვალერიან თელიას. ამ უკანასკნელმა, დამრღვევ მძღოლს ოფიციალურად წარუდგინა თავი და მიუთითა, რომ ემოძრავა საგზაო წესების დაცვით, თავი შეეკავებინა შეურაცხყოფისგან, მოუწოდა მას სიმშვიდისაკენ, დაასრულა მოქალაქესთან საუბარი და გაემართა თავისი ავტომანქანისკენ. ამის შემდგომ მოქალაქე როინ ფარტენაძემ კვლავ გააგრძელა აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიასადმი უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფის მიყენება, რამაც გამოიწვია მათ შორის გარკვეული დაძაბულობა. ამ დროს „მერსედესი"-ს მარკის ავტომანქანიდან გადმოვიდა მოქალაქე ფარტენაძის თანმხლები პირი, რომელიც ცდილობდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი როინ ფარტენაძის დამშვიდებას" — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციითვე, შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიც გამოცხადდა.

„აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დეტალებში გარკვევის მიზნით, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო ვიდეოკამერებიდან მოახდინეს ჩანაწერების ამოღება. კერძოდ, პოლიციის თანამშრომელი — გ. ს. მივიდა გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციულ ობიექტ „ბათუმის სახლში", საიდანაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული ობიექტის გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან გადაღებული ვიდეოჩანაწერის ამოღება, რა დროსაც გ. ს-მ დაუდევრობით ვერ მოახერხა ჩანაწერის ამოღება და დააზიანა არსებული ვიდეოფაილები, რომლის აღდგენაც შემდგომში ველარ მოხერხდა. გ.ს-ს მიერ არ მომხდარა აღნიშნული ფაქტის დამალვა, ზემოაღნიშნული დაუდევარი ქმედებით გამოწვეული შეცდომის შესახებ გ.ს-მ პატაკით აცნობა მის უშუალო ხელმძღვანელს. ამის შემდეგ მან მოძებნა ინციდენტის ამსახველი ალტერნატიული ვიდეომასალის ამსახველი წყარო, კერძოდ, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე „ავერსი"-ს აფთიაქის გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან ამოიღო ჩანაწერი, რომელიც სამინისტრომ იმავე დღეს გაავრცელა მედია საშუალებებით.

იმავე დღეს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, რის შედეგადაც „ავერსი"-ს აფთიაქის ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერითა და გამოკითხული პირების ახსნა-განმარტებებით არ დადასტურდა ვალერიან თელიას მიერ სამსახურებრივი გადაცდომა.

სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გ.ს-ს არ განუხორციელებია გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციულ ობიექტ „ბათუმის სახლში" გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან გადაღებული ვიდეოჩანაწერის შეგნებულად დაზიანება, თუმცა დავალების დაუდევარი და არაჯეროვანი შესრულების გამო, მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სასჯელი და გამოეცხადა სასტიკი საყვედური"— აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო

**ნიუსპრესი**

# საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკველი ჩაიყარა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, გუშინ, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადგურ „სუფსა"-ს ტერიტორიაზე, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიას დაესწრნენ.

ცერემონიაზე, შს მინისტრმა და აშშ-ს ელჩმა, ნიჩბით საძირკველი სიმბოლურად „გაჭრეს", რის შემდეგაც რიჩარდ ნორლანდმა და ირაკლი ღარიბაშვილმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს.

გუშინვე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე, საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნოს გახსნის ცერემონიაც გაიმართა, რომელსაც ასევე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრნენ.

შს მინისტრმა სანაპირო დაცვის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, საქართველოში აშშ-ს საელჩოს საფრთხეების შემცირების სამსახურის უფროსი, სა-



ჰაერო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი ბლეიქ ფარლეი, სანაპირო დაცვის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. მინისტრმა დააჯილდოვა აგრეთვე აშშ-ს საელჩოს ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი — დეივიდ ნილსი და აშშ-ს საელჩოს ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მრჩეველი საზღვაო საკითხებში — ჯონ ქარენი.

ირაკლი ღარიბაშვილმა და რიჩარდ ნორლანდმა სანაპირო დაცვის თანამშრომლებთან ერთად გემების სარემონტო ძველი სახელოსნო დაათვალიერეს და შემდეგ ახალი შენობა საზეიმოდ გახსნეს.

**ნიუსპრესი**

# უსუფაშვილმა და გოგალაძემ გარემოს დაცვის საკითხებზე ისაუბრეს



გარემოს დაცვით საკითხებზე და ამ სფეროსთან დაკავშირებულ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და გარემოს დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ გუშინ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.

„ერთი კვირის წინ პარლამენტმა დაასრულა კანონპროექტთა პაკეტზე მუშაობა, რომელიც გარემოს დაცვის სფეროში ახალი ხელისუფლების მიერ წამოწყებულ რეფორმებს ასახავს. ამ პროექტების განხილვას პარლამენტმა, სამინისტროსთან ერთად, სერიოზული დრო და ენერგია დაუთმო. დღეს მინისტრთან ერთად შევაჯამეთ ეს სამუშაოები და შევთანხმდით, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის სფერო ერთ-ერთი ხშირად განხილვადი თემაა, დღემდე უამრავი საკითხია მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი" — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრას, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი და გარემოს დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ნინო შარაშიძე ესწრებოდნენ.

გარემოს დაცვის მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს საჩუქრად დეკორატიული მცენარე გადასცა.

**ნიუსპრესი**

# რამდენი ათასი ადამიანი დატოვა „ცენტრ-პოინტმა“ უბინაოდ

**სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტისგან“ დაზარალებულთა მორიგი აქცია გუშინ კომპანიის ოფისთან გაიმართა. აქციის მონაწილეებს „ცენტრ-პოინტის“ დირექტორის მოადგილე ირაკლი დარასელია შეხვდა. როგორც დარასელიამ აქციის მონაწილეებს განუმარტა, ის ადამიანები, რომლებსაც კომპანია „დექსუსთან“ კონტრაქტი არ აქვთ და აქვთ „ცენტრ-პოინტთან“, დღგ-ს გადასახადისგან გათავისუფლდებიან. მისი განცხადებით, ეტაპობრივად, ყველას დაურეგისტრირებენ არსებულ ხარჯებს.**

შორენა გონგლაძე

„მას კი, ვისაც თანხა უნდა, ყველას ერთდროულად ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგან ამდენი რესურსი არ არის. ყოველთვიურად ირიცხება თანხები იმ ადამიანებისგან, ვისაც დავალიანება აქვთ. ვისაც თანხა არ სჭირდება, ალტერნატიულ ფართებს შევთავაზებთ. ასეთი კი ძალიან ბევრია. – განაცხადა ირაკლი დარასელიამ.

დაზარალებულებს კი განმარტებების მიუხედავად, მისი არ სჯერათ და აცხადებენ, რომ ესეც მორიგი ტყუილია. მონაწილეები იმასაც კი ამბობენ, რომ აქამდე ეს ადამიანი არც კი უნახავთ და მისი ვინაობა მხოლოდ დღეს გაიგეს. აქციის მონაწილეებს მოგვიანებით პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლები კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე შეუერთდნენ, რომლებმაც აქციის მონაწილეებს მხარდაჭერა გამოუცხადეს და ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდეს.

აქციის მიმდინარეობისას „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულებმა კომპანიის შენობაზე პლაკატები გააკრეს, რომლითაც მაია რჩეულიშვილის, რუსუდან კერვალიშვილისა და კომპანიის სხვა წარმომადგენლების გასამართლებას მოითხოვენ.

აქციის მონაწილეები მოითხოვენ „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებლების სისხლის სამართებლივ პასუხისგებაში მიცემას, მათი ქონებისა და ფულადი სახსრების დაყადაღებას, შემდგომი რეალიზებისა და შენობების დასრულების მიზნით.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ კომპანია „დექსუსის“ საქმიანობა სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ და ეკონომიკის სამინისტროში მოხდეს ქვესტრუქტურის შექმნა, რომელიც განიხილავს საკითხს, სახელმწიფო სახსრებით მოხდეს შენობების დასრულება.

დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის წარმომადგენლების განცხადებით, საპროტესტო აქციები მთავარ პროკურატურასთან პერმანენტულად გაიმართება და იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, არ გამორიცხავენ, მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის გადადგომაც მოითხოვონ.

მათი თქმით, გამაფრთხილებელი აქცია მთავარ პროკურატურასთან 10 აპრილსაც გაიმართება, 20 აპრილს კი, დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაცია მასშტაბური აქციის გამართვას გეგმავს.

ასოციაციის წევრი ია ღონღაძე ამბობს, რომ შესაძლოა „ცენტრ-პოინტის“ კლიენტებმა შიმშილობა დაიწყონ. აქციის მონაწილეების თქმით, მათ ამ პირობის არ სჯერათ, რადგან, მათი თქმით, „ცენტრ-პოინტი“ მათ მუდმივად ატყუებს.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პრობლემა უკვე წლებია მოუგვარებელია, „ცენტრ-პოინტისგან“ დაზარალებულები საპროტესტო აქციებს თითქმის ყოველ კვირაში მართავენ, თუმცა ამ დრომდე მათი საკითხით საფუძვლიანად არც ახალი და არც ყოფილი ხელისუფლება არ დაინტერესებულა.

შეგახსენებთ, რომ სამშენებლო სკანდალის დეტალები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეისწავლა და რამდენიმე ხნის წინ მედიას კვლევის შედეგები გააცნო. პრეზენტაციას კომპანია „დექსუსის“ წარმომადგენლები, უფლებადამცველები და თავად სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეები ესწრებოდნენ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მკვლევრების მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „6200-მდე ოჯახის მიერ ბინების მშენებლობისთვის გადახდილი 310 მილიონი აშშ დოლარი „ცენტრ-პოინტი ჯგუფმა“ არამიზნობრივად გამოიყენა, რის შედეგადაც 30 ათასამდე ადამიანი დაპირებული ბინების გარეშე დარჩა.“

„ცენტრ-პოინტი“ საქართველოს ძველ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს: ვახტანგ რჩეულიშვილს, მაია რჩეულიშვილს და მის დას, რუსუდან კერვალიშვილს ეკუთვნის.

1999 წელს დაფუძნებულ კომპანია „ცენტრ პოინტში“, 2008 წელს ფინანსური კრიზისი დაიწყო. 2 წლის შემდეგ კი იმ მიზეზით, რომ აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ, ხელმძღვანელობამ ეს პასუხისმგებლობა სხვას გადააბარა. 2010 წლის 23 აგვისტოს 100-ლარიანი საწესდებო კაპიტალით დარეგისტრირებულმა კომპანია „დექსუსმა“, ორი კვირის შემდეგ „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ ვალდებულებების შესრულება საკუთარ თავზე აიღო. კომპანიის ხელმძღვანელობამ პირობა დადო, 3 წლის განმავლობაში ყველა დაზარალებული დაეკმაყოფილებინა.

„დექსუსმა“ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კომპანიებთან კლიენტების მიერ დადებული პირველადი ხელშეკრულების პირობები გააუარესა და მათ დამატებითი გადასახადებისა და მშენებლობის თანხების გადახდა მოსთხოვა. „დექსუსი“ სავარაუდოდ მონაწილეობდა უკანონო გარიგებებში, რომლის მეშვეობითაც დაზარალებული კლიენტების კუთვნილი ფასეული ქონება „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებს გადაეცათ. „დექსუსმა“ შეჩერებული 30 სამშენებლო პროექტიდან 8 პროექტი დაასრულა და დამატებით 7 ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს. – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებულ დასკვნაში.

დაზარალებულების საქმის გამოძიება გენერალურმა პროკურატურამ ოქტომბრის ბოლოს დაიწყო. არჩილ კბილაშვილის უწყებაში საქმეს ანტიკორუფციული დეპარტამენტი განიხილავს. აქციის მინაწილეების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების დაწყებიდან უკვე რამდენიმე თვე გავიდა, გამოძიება ერთი ნაბიჯითაც კი არ წასულა წინ, ამიტომ აქციის მონაწილეები შიმშილობის დაწყებასაც არ გამორიცხავენ.

## ბაჩო ახალაის სასამართლო პროცესზე ინციდენტი მოხდა



გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესზე შესვენების გამოცხადების შემდეგ ინციდენტი მოხდა.

მას შემდეგ, რაც პროცესზე ბრალდების მხარის მოწმე, უფროსი ლეიტენანტი დავით ხარეიშვილი დაიკითხა და შესვენების გამოცხადების შემდეგ, მან დარბაზი დატოვა, დამსწრე საზოგადოების ნაწილი სასამართლოს ფოიეში მას სხვადასხვა შეძახილით გაეკიდა. ისინი ხარეიშვილს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებდნენ და აცხადებდნენ, რომ ის ორი დღის წინ იმყოფებოდა პროკურატურაში, სადაც მას გარკვეული მითითებები მისცეს. ამის შემდეგ ინციდენტში საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები ჩაერივნენ, რომლებიც შეკრებილ საზოგადოებას წესრიგისკენ მოუწოდებდნენ. მანდატურების დახმარებით კი მოწმემ სასამართლოს ტერიტორია დატოვა. გუშინდელ სასამართლო პროცესზე დავით ხარეიშვილმა და ნიკოლოზ ქათამაძემ ჩვენებები მისცეს, რომლითაც ბაჩო ახალაია სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულეს.

ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულებს ბრალად სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედებათ.

**მედიანიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტი თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღეში თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრება. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ვიზიტისას პრეზიდენტი თავის თურქ კოლეგა აბდულა გიულსა და პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიფ ერდოღანს შეხვდება.

შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზე ისაუბრებენ.

**მედიანიუსი**

## საია: „აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ ვალერიან თელიას მართვის მოწმობა არ აქვს“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) აჭარის ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ ვალერიან თელიას, რომელიც ბათუმში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტში ფიგურირებს, მართვის მოწმობა არ აქვს.

საიას აჭარის ბიუროს ცნობით, მათ მოიპოვეს შს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ თელიას სახელზე მართვის მოწმობა გაცემული არ არის.

შეგახსენებთ, რომ ბათუმში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) თანამშრომლებსა და აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსს, ვალერი თელიას შორის ინციდენტი 28 მარტს მოხდა.

**მედიანიუსი**

# სოციალურად დაუცველები სხვების უფლებებს არღვევენ

მერი ნამორაძე

**სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია „მშობელთა კავშირი“, რომელიც დაფუძნებულია 1997 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლების მიერ, შენობის გარეშე რჩება და ბენეფიციარებს ვეღარ ეხმარება. ორგანიზაციამ დაარსების დღიდან საერთაშორისო დონორების თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არაერთი პროექტი განახორციელა ინვალიდობის მქონე პირთა დასახმარებლად, დღეს კი იძულებულია სოცდაუცველთა მიერ უკანონოდ ბოქლომდადებული ოთახების გამოთავისუფლებას დაელოდოს.**

„მშობელთა კავშირი“ თემქაზე მდებარე ყოფილი სკოლა-პანსიონის შენობაში განთავსდა. როგორც კავშირის ხელმძღვანელმა, მაია ასაკაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, განხილვის პროცესში იყო შენობის იურიდიული სტსტუსის საკითხი, საუბარი იყო არასამთავრობო ორგანიზაციისათვის უზურფრუქტით შენობის გადაცემაზე . იფუნქციონირებდა ინტეგრირებული ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რადგან ერთად იყვნენ სოციალურად დაუცველები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სწავლობდნენ თექაზე მუშაობას, გობელენს, ბისერებისგან აქსესუარების დამზადებას, ნაჭრის თოჯინების კერვას.

– ჩვენ ვართ არა მხოლოდ მშობლები, არამედ დარგის პროფესიონალებიც. ყოველდღიური შეხება გვაქვს პრობლემასთან და უკვე ჩამოვყალიბდით პროფესიონალებად. პირადა მე მოტივაციის გამო პროფესიაც კი შევიცვალე და გავხდი სპეცპედდაგოგი, რათა პროფესიონალური დახმარება გამეწია არა მხოლოდ ჩემი შვილისთვის, არამედ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ძიებამ ისე შორს წამიყვანა, რომ სამეცნიერო მუშაობასაც მოვკიდე ხელი და დისერტაციაც გავაკეთე ამ მიმართულებით, – გვითხრა ასაკაშვილმა.

ორგანიზაცია მუშაობდა არა მხოლოდ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე არამედ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ადამიანებთანაც. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემად ასაკაშვილი მათ სკოლისშემდგომ განათლებას ასახელებს, რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ ამ ადამიანებს სოციუმში ადგილი არ აქვთ. წლების განმავლობაში რაც პედაგოგთა და პროფესიონალთა შრომით ყალიბდება, სკოლის დამთავრების შემდეგ წყალში იყრება, რადგან შეზღუდული შესაძლობლების მქონენი იზოლირებულნი რჩებიან. , არსებობს მხოლოდ სკოლის შემდგომი სახელმწიფო დღის ცენტრის პროგრამა.

– საკმაოდ წარმატებული პროექტია დღის ცენტრის სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ამ სერვისით ვერ სარგებლობენ. ჩვენ ზუსტად ასეთ ადამიანებს ვეხმარებოდით და გვინდოდა მათთვის არა მხოლოდ ხელსაქმე გვესწავლებინა,, არამედ მონაწილეობას იღებდნენ გამოფენა-გაყიდვებში. პრობლემა უფრო სიღრმისეულია, არ გვინდა ეს ადამიანები განიხილებოდნენ მხოლოდ სიბრალულისა და ქველმოქმედების ობიექტებად. ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და გვინდა მათ ხელობა ისწავლონ, შეძლონ თვითრეალიზაცია და აღარ იყვნენ არც ოჯახის ტვირთი და არც სახელმწიფოსი. ამიტომ ჩვენმა ორგანიზაციამ შეიმუშვა სახელობო ინკლუზიური ცენტრის პროექტი, რომელიც მხარდაჭერილია ხელისუფლების მიერ და უახლოეს პერიოდში ველოდებით იურიდიული სტატუსის გადაწყვეტის საკითხს. საერთაშორისო დონორისგან – ამერიკის საელჩოსგან მოვიპოვეთ დაფინანსება ასევე ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფოდან, აშშ-ს საელჩომ შეგვიძინა მინისტამბის ტექნიკა, რათა პოლიგრაფიული საქმიანობა შეესწავლათ მოზრდილებს. შეძლებენ წიგნების დაკაბადონებას, გვაქვს მინისტამბის სრული კომპლექტი, მაგრამ ვერ ვახერხებთ შენობაში შესვლას, საიდანაც ოქტომბრის თვეში, სახელმწიფო შენობა-ნაგებობებში მასიური შეჭრის დროს შეიჭრნენ უცხო პირები, ქუჩაში გამოყარეს ჩვენი ბენეფიციარები, მოხდა შენობის დარბევა, მით უმეტეს, შენობაზე გამაფრთხილებელი აბრები იყო გამოკრული, რომ აქ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და არავინ უნდა შეხებოდა, – განაცხადა ასაკაშვილმა.

თავდაპირველად დევნილები ეგონათ შეჭრილი პირები, მაგრამ დევნილთა სამინისტრომ არ დაადასტურა შეჭრლთა დევნილობის სტატუსი, გარდა იმ 4 აფხაზეთიდან დევნილი ოჯახისა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობს ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში. სხვა შეჭრილები არ იყვნენ რეგისტრირებულნი დევნილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში; – მომივიდა პასუხი, რომ ეს შეჭრილები იღებენ სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას და იმოქმედეთ კანონის შესაბამისადო. მივმართეთ პრემიერის კანცელარიას, შსს სამინისტროს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ველით გადაწყვეტილებას. შეჭრა არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. არსებობს შსს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის № 747 ბრძანების საფუძველზე მიღებული დადგენილება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან ხელშეშლის აღკვეთის წესის შესახებ. შსს-მ გადააგზავნა ჩვენი დოკუმენტაცია ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში და მიმდინარეობს ძიება. იმედი მაქვს დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ და მოხდება შენობის გამოთავისუფლება და შევძლებთ გავაგრძელოთ პროექტი, – გვითხრა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

მათ მიმართეს თხოვნით დონორს გადავადებულიყო ვაშინგტონში დამტკიცებული პროექტი. ასაკაშვილი ამბობს, რომ მოერიდნენ სამოქალაქო დაპირისპირებას, რადაგან შჭრილები შეყრაცხყოფას აყენებენ ბენეფიციარებს თუ დამხმარე პერსონალს. ბოქლომები ადევს კარებებს და შეჭრილები იქ არ ცხოვრობენ, პერიოდულად მოდიან და მიდიან. ორგანიზაციამ მიმართა ეკონომიკის სამინისტროს, როგორც შენობის მესაკუთრეს, რამდენჯერმე გაიგზავნა მობილური ჯგუფი ადგილზე სიტუაციის შესასწავლად. ასაკაშვილის თქმით, მობილერი ჯგუფის არაერთი გაფრთხილებისა, ეს ადამიანები მაინც აგრძელებენ თვითნებურ ქმედებებს – მოიტანეს სამშენებლო მასალა, დაიწყეს კედლების ნგრევა, დემონტაჟი, თვითნებური მშენებლობა, სველი წერტილების რეკონსტრუქცია, შეიქმნა უმართავი სიტუაცია.

– რამდენჯერმე იყო მცდელობა ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან მისულიყვნენ მოსალაპარაკებლად, მაგრამ მათგან ძალიან დიდი აგრესია წამოვიდა. ბავშვების ნამუშევრები რომ გამოგვეტანა, დაგვჭირდა ადგილობრივი პოლიციის დახმარება, რათა შეგვეღწია შენობაში, – ამბობს ასაკაშვილი.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ პრემირმინისტრთან არსებული საკოორდინაციო საბჭო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მუშაობს. 2012 წლის 28 დეკემბერში შეიქმნა არასამთავრობო ორჰანიზაციებისთვის შენობა ნაგებობების შეღავათიან პირობებით გადაცემის საკითხის შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფში შევიდნენ ეკონომიკის, განათლების, სოციალური დაცვის, იუსტიცისს სამინისტროს და ქონებია მართვის სააგენტოს წარმომადგენლები. ასევე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. ასაკაშვილს ისევ ხელისუფლების თანადგომის იმედი აქვს, რადგან ხორცი შეესხა საკოორდინაციო საბჭოს ამოქმედებია იდეას, რაც ინვალიდური მოძრაობის არსებობის 30 წლის განმავლობაში იგნორირებული იყო. მუშავდება 2013-16 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიაც ჩართული იყო მთელი სპექტრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ერთობლივი მუშაობის შედეგად წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად.

ჩვენს შეკითხვას, სცადა თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეჭრილების მიერ ჩამოკიდებული ბოქლომების ჩამოხსნა და შენობის დაბრუნება, ასაკაშვილმა გვიპასუხა, რომ ეს არ უცდიათ, რადგან მოერიდნენ სამოქალაქო დაპირისპირებას: ჩვენ არ ვიკადრეთ, რასაც ეს ადამიანები კადრულობენ. გვინდა რომ ყველაფერი სამართლიანად, კანონის ფარგლებში, როგორც ჩვენს ბენეფიციარებს შეეფერებათ, ისე დავიბრუნოთ შენობა და არა არაკანონიერად. შეჭრა რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, ყველასთვის ცნობილია. ჩვენც ძალიან ბევრი მშობელი გვყავს, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის ორი შვილი, მაგრამ ისინი არასოდეს არსად შეჭრილან, ასეთი რამ არ უკადრიათ. თუ იურიდიული სტატუსის საკითხი გაირკვევა, ყველა პრობლემა მოიხსნება. ამ გაურკვევლობის გამო ჩვენ ძალიან ბევრი დონორი დავკარგეთ. უზურფრუქტის საკითხი რომ გადაწყვეტილი ყოფილიყო, ამ პროცესების მართვასაც შევძლებდით და გაურკვეველი ადამიანები ვერ შეძლებდნენ შენობაში შემოსვლას, – აღნიშნა ასაკაშვილმა.

# საქართველოში ისრაელის კინოს დღეები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

3, 4 და 5 აპრილს სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმისა და კულტურის სამინისტროს თანადგომით, ისრაელის საელჩო საქართველოში კინოს დღეებს ჩაატარებს. კინოჩვენებები ისრაელის დამოუკიდებლობის 65-ე იუბილეს ეძღვნება. კინოს დღეები ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში ჩატარდება. ქართველი მაყურებელი ბოლო წლებში გადაღებულ ექვს ფილმს იხილავს, რომლებმაც ისრაელის კინოს მსოფლიო კინემატოგრაფში კუთვნილი ადგილი მოაპოვებინეს.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ისრაელში გადაღებული ფილმები ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე ოთხჯერ იყო წარდგენილი. ამ ნამუშევრებს ბერლინის, კანის, ვენეციისა და სხვა კინოფესტივალების პირველობა კი არაერთხელ მოუპოვებია. გასული წლის დეკემბერში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში 2012 წლის ფილმი „ჰაიუტა და ბერლი“ იქნა ნაჩვენები.

ისრაელის კინოს დღეებს საქართველოში 3 აპრილს გახსნის ფილმი ავივა, ჩემო სიყვარულო! და მას შეენაცვლება ნამუშევარი „ხუთი საათი პარიზამდე“. 4 აპრილს წარმოდგენილი იქნება „სამყაროს აღსასრულს მარცხნივ გაუხვიე“ და ორ (ოქროს გოგო), 5 აპრილს – „გამარჯობა, მუსიე შლომი!“ და „... და შენ შეირთავ ცოლს“.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში კი გაიხსნა გიორგი დანიბეგაშვილის გამოფენა „ფერადი ხილვები“.

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა მხატვრის, გიორგი დანიბეგაშვილის ფერწერული ნამუშევრები, რომელსაც მან პირობითად „ფერადი ხილვები“ უწოდა. დამთვარიელებელმა ექსპოზიციაზე იხილა მხატვრის 25 ფერწერული ტილო სერიებიდან: მოგზაურობა ნიუ იორკში, შობის მისტერია, მოჩვენებითი სახეცვლილება, არისტოკრატები ემიგრაციაში, ზარატუსტრას სიზმარი, სათნოებათა კიბე. „ფერადი ხილვები“ ავტორის დროსთან დამოკიდებულებას გამოხატავს. მხატვარი თვლის, რომ ხელოვნება წარსულსა და მომავალში გამოხატული ისტორიაა, აწმყო კი – მხოლოდ პირობითობა. პროექტი დამთვარიელებელს მხატვრის აბსტრაქტულ ფერწერას წარუდგენს. ნამუშევრები მისი „ფერადი ხილვების“ შედეგად შეიქმნა და ფერთა თავისებური აღქმითა და ჰარმონიულობით გამოირჩევა, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

# საუკეთესო ფოტოხელოვნებს საზეიმოდ დააჯილდოვებენ

ეკა ირემაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „კიკალა სტუდიომ“ ილიაუნის სემიოტიკის კვლევითი ცენტრისა და სტუდენტთა შემოქმედებითი კლუბის ინიციატივით**

ფოტომოყვარულებისთვის ფოტოხედვის სასწავლო კონფერენცია ჩაატარა, რომელსაც „ჩვენ ვქმნით სინათლით“ უწოდა.

ფოტოგრაფია – სინათლის ენაა. შექმენით და გამოავლინეთ თქვენი უნიკალური სამყარო სინათლის საშუალებით. გაიზიარეთ პროფესიონალთა გამოცდილება და ეძიეთ და შეიცანით საკუთარი საზღვარი და უსაზღვროება კადრებში, – ასეთია ღონისძიების ლოზუნგი.

ორი კვირის განმავლობაში კონფერენციაზე დამსწრეებმა პროფესიონალი ფოტოგრაფებისგან ბევრი საინტერესო რჩევა მიიღეს. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა მამუკა კიკალიშვილის მასტერკლასი „კიკალა სტუდიოში“, გურამ წიბახაშვილის მასტერკლასი და დიალოგი ფოტოხელოვნებაზე – ზურაბ გურიელიძის, ცირა ბარბაქაძის, კახაბერ შარტავას, მიშა გიორგაძისა და დავით ქორიძის მონაწილეობით. მოეწყო კონკურსი „თავისუფალი ფოტოსესია ცხენებთან“, მოეწყო საკონკურსო ფოტოსესია ლისის ტბაზე, იპოდრომზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საცხენოსნო ცენტრში. მოეწყო სპეციალური კონფერენცია, რომელიც პროფესორმა ცირა ბარბაქაძემ გახსნა თემით „ფოტოგრაფია, როგორც აზრის ფორმა (ხედვის მეტაფორები)“, რეჟისორმა, მსახიობმა და ფოტოხელოვანმა კახაბერ შარტავამ კონფერენციის მონაწილეებთან ისაუბრა თემაზე „საუბრები ფოტოგრაფიაზე: სამყარო კადრებში“. მასტერკლასის ფარგლებში „კიკალა სტუდიოში“ მოეწყო სტუდიური ფოტოგადაღება, რომელსაც ვახტანგ ქობალია წარმართავდა. ფოტოხელოვანმა მიშა გიორგაძემ ისაუბრა თემაზე „საუბრები ფოტოგრაფიაზე: როგორ იქმნება პორტრეტი“, ფოტოხელოვანმა დათო ქორიძემ კი – „საუბრები ფოტოგრაფიაზე: რაზე გვიყვებიან ფოტოები?“ პროფესორებმა ზურაბ გურიელიძემ და ნათია კოპალიანმა – „ფოტოგადაღება ველურ ბუნებაში“.

ოთხი დღის განმავლობაში სპეციალურმა ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ ცირა ბარბაქაძე, იასონ ბადრიძე, ზურაბ გურიელიძე, მამუკა კიკალიშვილი, კახაბერ შარტავა, მიშა გიორგაძე და დათო ქორიძე გურამ წიბახაშვილის ხელმძღვანელობით საკონკურსო ფოტოებს აფასებდნენ.

3 აპრილს კი წიგნის მაღაზიაში „ლიგამუსი“ ჩატარდება კონფერენციის დახურვა, ფოტოგამოფენა, კონკურსის შედეგების გამოცხადება, გამარჯვებულთა დაჯილდოება და სერთიფიკატების გადაცემა. ილიაუნის რექტორი გიგი თევზაძე გამარჯვებულებს დიპლომებს და პრემიებს გადასცემს.

# „თბილისის ქანდაკება – პოეზია ქვიშაში“ გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით გამოცემული წიგნის „თბილისის ქანდაკება „ პოეზია ქვიშაში“ პრეზენტაცია. წიგნის ავტორია მწერალთა კავშირის წევრი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პოეტი ბადრი ქუთათელაძე.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, თბილისის მერიის წარმომადგენლები, წიგნის ავტორი და მოწვეული სტუმრები.

– „თბილისის ქანდაკება“ ენციკლოპედიური ხასიათისაა და სრულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს თბილისსა და მის შემოგარენში, მათ შორის კიკეთში, წყნეთში, კოჯორში და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში არსებული ქანდაკებების შესახებ. წიგნში შესულია თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სკულპტურული კომპოზიცია, ამასთანვე მთაწმინდისა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში განთავსებული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების ბიუსტები, – აღნიშნა გამოცემის ავტორმა.

„თბილისის ქანდაკება“ 2002 წელს ავტორის მიერ გამოცემული წიგნის „პოეზია ქვაში“ სრულყოფილი ვერსიაა და დეტალურად ასახავს ქართული მონუმენტური ხელოვნების სურათს ჩვენს დედაქალაქში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ცნობილი სომეხი პოეტის გაგიკ დავთიანის წიგნის „ღია ბარათი“ პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, სომხეთის კულტურის მინისტრი ჰასმიკ პოღოსიანი, საქართველოსა და სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰოვანეს მანუკიანი, მოწვეული სტუმრები.

წიგნი „ღია ბარათი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გამომცემლობა „მერანის“ მხარდაჭერით გამოიცა.

– გაგიკ დავთიანი ცნობილი სომეხი პოეტი, ქართული პოეზიის ანთოლოგიის სომხურად მთარგმნელი და გამომცემელი მრავალი პრემიის ლაურეატია, საქართველოში მიღებული აქვს ივანე მაჩაბლისა და მაიაკოვსკის საერთაშორისო პრემიები. ვულოცავ მას ამ წიგნის გამოცემას და კიდევ ბევრ საინტერესო კრებულს ვუსურვებ, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

გურამ ოდიშარია აგრძელებს ვიზიტებს საქართველოს რეგიონებში და სამეგრელოს, აჭარის, დუშეთისა და იმერეთის შემდეგ მინისტრი პანკისის ხეობას ეწვია. მასთან ერთად პანკისში პირველი მოადგილის მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიც

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. ახალაშენებული 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. ბოლო ფასი 25.000 დოლარი. ტელ.: 577-47-85-55, 599-72-27-48. გიორგი.

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# გლადიატორები — დინამოს ულტრასული ფანკლუბი

**ბოლო ტურის მიმოხილვისას, როდესაც ტორპედო-დინამოს თამაშზე ვსაუბრობდით, განსაკუთრებით გამოვყავით ფანებთა ქომაგობა. საქართველოში ფანური მოძრაობა ახლა იწყება, თუმცა უნდა ითქვას, რომ თბილისის „დინამოს“ ფან-კლუბი „გლადიატორები“ უკვე მე-15 წელს ითვლის და ყველაზე ორგანიზებულად მიიჩნევა. ფან კლუბები ჰყავს „ტორპედოს“ (ჯუნგლები), „ზესტაფონს“ (ზესტაფანები), გორის „დილას“ (ლომკაცები) და ბათუმის „დინამოს“ (შავი ზღვის მეკობრეები). გულშემატკივრები საშინაო თუ საგარეო თამაშებზე ყველა გუნდს დაჰყვება, თუმცა მათ ოფიციალური სტატუსი არ აქვთ.**

**რას წარმოადგენენ ფან-კლუბები და რა ხდება ტრიბუნებზე, ამაზე „გლადიატორების“ ერთ-ერთი წევრი, რეზი შავლაძე საუბრობს, რომლის ინტერვიუ ჩეხურ-სლოვაკურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

***— რომელ გუნდს უჭერთ მხარს, რატომ და რამდენი ხნის განმავლობაში აკეთებთ ამას?***

— თბილისის „დინამოს“ ფანი ვარ. 1985 წლიდან მამაჩემთან ერთად დინამოს სტადიონზე დავიწყე სიარული, მარტომ კი ამის გაკეთება 1990 წლიდან დავიწყე. იქიდან მოყოლებული გუნდს აქტიურად ვქომაგობ.

***— ხართ თუ არა რომელიმე ულტრასული დაჯგუფების წევრი?***

— თბილისის „დინამოს“ ფანკლუბის წევრი ვარ. „გლადიატორთა“ რიგებს 2007 წელს შევუერთდი.

***— მოგვიყევით თქვენი ფანკლუბის შესახებ.***

— „გლადიატორები“ 1998 ჩამოყალიბდნენ, თუმცა საქართველოში ფანკულტურის განვითარება ოთხმოციან წლებში დაიწყო, როდესაც საბჭოთა კავშირში სტადიონზე აქტიურ შეძახილებთან და უბრალოდ გუნდის მხარდაჭერასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები აღარ იყო. გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი სტადიონის ტრიბუნებზე საკლუბო ატრიბუტიკით მოდიოდა, გარდა ამისა ეს ხალხი გუნდს გასვლით მატჩებზეც ახლდა თან. აღნიშნული დაჯგუფების რამდენიმე წევრი დღემდე გახლავთ „გლადიატორების“ წევრი. სადღეისოთ ფანკლუბის წევრთა რაოდენობა 400-მდე არის ასული. მათთდ შორის ყველაზე აქტიურები დაახლოებით 250-ნი არიან და ისინი „დინამოს“ საშინაო მატჩებზე რეგულარულად დადიან. გარდა ამისა დაახლოებით 100 გულშემატკივარი, რომელიც ოფიციალურად ჩვენი წევრი არ არის, თუმცა ამის მიუხედავად ხშირ შემთხვევაში ტრიბუნაზე გვიერთდება.

***— მიეკუთვნებიან თუ არა „გლადიატორები“ რომელიმე ულტრასული ან ხულიგნური დაჯგუფების კატეგორიას?***

— ჩვენ უფრო ულტრასულ დაჯგუფებებს შორის ვართ.

***— თქვენი პოლიტიკური შეხედულებები როგორია?***

— ამ შემთხვევაშიც ყველაფერი სხვადასხვანაირად გამოიყურება. ჩვენთან ნებისმიერ პოლიტიკური შეხედულების ადამიანს იპოვნით. ზოგადად განსაკუთრებით არცერთ პოლიტიკურ პარტიას მხარს არ ვუჭერთ. ჩვენთვის უმთავრესი კი მხოლოდ „დინამო თბილისია“.

***—კლუბის ხელმძღვანელობასთან რა ურთიერთობები გაკავშირებთ?***

— საკმაოდ კარგი. ჩვენსა და კლუბის წარმომადგენელთა შორის რეგულარული შეხვედრები საკმაოდ ხშირად იმართება. მნიშვნელოვანი მატჩების წინ კი ხშირ შემთხვევებში ფეხბურთელებსაც ვხვდებით. გარდა ამისა, გასვლითი მატჩებისთვის კლუბი ჩვენს ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

***— რისი თქმა შეგიძლიათ თქვენი კლუბისა და სტადიონის შესახებ?***

— კლუბი 1925 წელს შეიქმნა. ერთ-ერთი კლუბია, რომელიც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგიდან არასდროს გავარდნილა. თბილისს „დინამო“ საბჭოთა კავშირის 2-გზის ჩემპიონი და თასის 2-გზის მფლობელი გახლავთ. გარდა ამისა, 1981 წელს ჩვენი გუნდი უეფას თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. თბილისის „დინამოს“ 20-ზე მეტი წევრი სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო. მთელს საბჭოთა კავშირში ეს ერთ-ერთი პოპულარული გუნდი იყო. „დინამოს“ სტადიონზე რამოდენიმეჯერ რეკონსტრუქცია განხორციელდა. ერთ-ერთი 1970 წელს შედგა და მაშინ სტადიონი 75.000 ადამიანს იტევდა. საბჭოთა დროს სტადიონზე მატჩებისას ცარიელ ადგილს უბრალოდ ვერ იპოვნიდით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ კი „დინამო“ საქართველოს ყველაზე წარმატებული გუნდი გახდა და დღესდღეობით მის ანგარიშზე 13 მოგებული ჩემპიონატი და 9 თასია. გარკვეული პერიოდის შემდეგ სტადიონზე რეკონსტრუქცია განხორციელდა და ამჟამად „დინამო არენა“ 54.000 გულშემატკივარს იტევს და გარდა ამისა, კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძს სახელს ატარებს.

***— უჭერს თუ არა მხარს თქვენი ფანკლუბი რომელიმე სხვა სპორტის სახეობაში მოღვაწე გუნდს?***

— დიახ, ჩვენ საკალათბურთო კლუბ „დინამოს“ თამაშებზეც დავდივართ. თუმცა ამას ყველა ჩვენგანი არ აკეთებს, რადგან საკალათბურთო კლუბი საქართველოს ბანკის მფლობელობაშია და მის სათავეში მოსვლის შემდეგ, ბანკმა ლურჯ-თეთრიდან კლუბის ფერები ნარინჯისფერზე შეცვალა. შესაბამისად ბევრი ჩვენთაგანი კალათბურთზე სწორედ პროტესტის ნიშნად არ დადის.

***— რას იტყვით ქორეოგრაფიულ მხარეზე მატჩების მსვლელობისას? ამაზე თქვენთან მცოდნე ხალხი თუ ზრუნავს და გეხმარებათ თუ არა კლუბის ხელმძღვანელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით?***

— დიახ, ამ საკითხზე გარკვეული ჯგუფი ზრუნავს, თუმცა ამის მიუხედავად, ყველა წევრი მაინც მაქსიმალურად გვერდით გვიდგას. რამოდენიმეჯერ ამაში კლუბის ხელმძღვანელობაც დაგვეხმარა, თუმცა ძირითადად ყველაფრის ორგანიზებას ჩვენს მიერ შეგროვებული თანხით ვახერხებთ.

***—აგვიწერეთ სხვა ქართული ულტრას დაჯგუფებები.***

— სამწუხაროდ ფანკულტურა ჩვენთან ამჟამად მაღალ დონეზე განვითარებული არ არის. რამოდენიმე ქალაქის გუნდებს ასევე ჰყავთ თავისი ფანკლუბები. მაგალითად, ბათუმის „დინამოს“ „შავი ზღვის მეკობრეები“ უჭერენ მხარს, „ზესტაფონს“ „ზესტაფანები“ ქომაგობენ, ხოლო ქუთაისის „ტორპედოს“ ფანკლუბს „ჯუნგლები“ ჰქვიათ. ამის მიუხედავად, „გლადიატორებს“ მათ შორის ყველაზე დიდი ისტორია აქვთ. რაც შეეხებათ სხვა კლუბებს, მათ ასევე უჭერენ მხარს პატარა დაჯგუფებები, თუმცა ამის მიუხედავად, ისინი ულტრასული დაჯგუფებების კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, მათი მოქმედებები უფრო სპორადიკული ხასიათის გახლავთ.

***— ჰყავს თუ არა რომელიმე ქართულ კლუბს ხულიგნური დაჯგუფება?***

— არა.

***— დაახლოებით რამდენი ადამიანი ესწრება საქართველოში ამა თუ იმ მატჩს?***

— საშუალოდ – 3.000. თუმცა დიდი თამაშების დროს, „დინამო არენაზე“ უფრო მეტი ადამიანიც დადის. ქუთაისში, „დინამოს“ ჩასვლის დროს სტადიონი ხშირ შემთხვევაში ბოლომდეა სავსე და ტრიბუნებზე 14.000 ადამიანია. ზესტაფონში ჩვენს გუნდს ასევე სავსე სტადიონზე უწევს თამაში და შეხვედრას 5.000 ადამიანი ესწრება. სხვა ქალაქებში კი უფრო პატარა არენებია, იქ 3.000-დან, 5.000 მაყურებლამდე დადის.

***— მოდით გასვლით თამაშებზეც ვისაუბროთ. რამდენი ფანი ესწრება გასვლით შეხვედრებს „დინამოს“ მხარდასაჭერად და გადაადგილების რა საშუალებებს ირჩევთ გასვლითი თამაშების დროს?***

— გასვლით მატჩებს 50-დან, 150-მდე „გლადიატორი“ ესწრება. ქუთაისში თამაშის დროს კი 150 კაცამდე ვართ. ძირითადად ავტობუსით ვსარგებლობთ.

***— ვინ არის თქვენი უმთავრესი მტერი, მოგვიყევით მის შესახებ.***

— ჩვენი მტერი ქუთაისის „ტორპედოა“. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოდან „ტორპედო“ „დინამოს“ შემდეგ მეორე გუნდი იყო, შესაბამისად ჩვენს შორის კონკურენცია ჯერ კიდევ იქედან არსებობს. თუმცა, ჩვენ ყოველთვის მათზე უკეთესი შედეგები გვქონდა. ქუთაისში მათი მოქმედებები ძალიან აგრესიულია. ჩვენ მათ „ქვის ხანის ადამიანებად“ მოვიხსენიებთ, რადგან მათ ქვების სროლა უყვართ და ეს მოქმედებები ძალიან ბინძურია. ბოლო მატჩში (სულ ბოლო არ იყო ჩატარებული) მათ ჩვენი ავტობუსი დააზიანეს, შორიდან ქვების სროლით მინები დაგვიმსხვრიეს. მსგავსი შეტაკებები ხშირად ხდება, თუმცა ისინი ქვების სროლას მაინც აგრძელებენ და ეს მათთვის უფრო უსაფრთხოა.



***— გაკავშირებთ თუ არა რომელიმე ქართულ ან უცხოურ ფანკლუბთან ურთიერთობები?***

— საქართველოში ბათუმის „დინამოს“ ფანებთან გვაქვს კარგი ურთიერთობები. გარდა ამისა ისტორიულად ვმეგობრობთ ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და კიევის „დინამოს“ ფანებთანაც. თუმცა, ბოლო დროს ერთმანეთთან კონტრაქტი იშვიათად გვაქვს.

***— აკეთებენ თუ არა თქვენი დაჯგუფების წევრები სხვადასხვა სახის გრაფიტის?***

— რამდენიმე წევრი ამას ნამდვილად აკეთებს ხოლმე.

***—უჭერენ თუ არა მატჩების დროს „გლადიატორები“ მხარს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს?***

— დიახ, საქართველოს მატჩების უმეტესობა სწორედ „დინამო არენაზე“ იმართება. შესაბამისად, ნაკრებს მხარს ტრადიციულად ჩვენი ტრიბუნიდან ვუჭერთ, რომელიც სტადიონის აღმოსავლეთ ნაწილის მე-17 სექტორში მდებარეობს.

***— მოგვიყევით ქართული პოლიციის შესახებ. სლოვაკეთსა და ჩეხეთში პოლიცია ხშირად ფანებს პროვოცირებს და გაზს, ხელკეტებს და რეზინის ტყვიებს იყენებს. რა მდგომარეობაა ამ მხვრივ საქართველოში?***

— ისინი ჩვენთანაც არიან. მათ აქვთ კანონები, რომლებიც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. არ გააკეთოთ ეს, არ გააკეთოთ – ის.. ქუთაისში, ზუგდიდში და ზესტაფონში, გასვლითი მატჩებისას მათთან მცირე შეტაკებაც კი მოგვივიდა. ისინი ცდილობენ გააკეთონ ისე, რომ ჩვენ დროშები, ფლაიერები და ზოგადად პიროტექნიკა არ გამოვიყენოთ. ჩვენ რა თქმა უნდა არ ვემორჩილებით მათ, რაც კონფლიქტში გადადის. თბილისში კი შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, აქ პოლიციას ჩვენთან გამოცდილება აქვს მიღებული და მათ იციან, რომ სჯობს ხელი არ შეგვიშალონ.

***— ცენტრალურ ევროპაში კიდევ ერთ პრობლემას დაცვის წარმომადგენლები ქმნიან. ჩეხეთში მათ ხშირად სპეციალური ნივთები აქვთ და ბევრ მათგანს კრიმინალური წარსული აქვს ან ისინი სხვა გუნდების ფანკლუბს წარმოადგენენ, რომლებიც ხულიგნები არიან. საქართველოში მსგავსი პრობლემა თუ არსებობს?***

— მსგავსი პრობლემები წარსულში, პატარა ქალაქებში მატჩებისას იჩენდნენ თავს. ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. აქაური სტანდარტებით გასვლით შეხვედრებზე ნორმალური რაოდენობით ჩავდივართ და ბევრმა იცის, რომ ჩვენთან კონფლიქტი არ უნდა ჰქონდეს.

***— პიროტექნიკას იყენებთ? როდის აკეთებთ ამას და აწარმოებთ თუ არა კლუბის ხელმძღვანელობასთან ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს? გაქვთ თუ არა პრობლემები პოლიციასთან?***

— პიროს ხშირად ვიყენებთ, ვიყენებთ ბოლებსა და ფლაიერებს. ძირითადად გასვლით თამაშებზე გვექმნება პრობლემა. თავიდან აღნიშნული პრობლემები საშინაო მატჩების დროსაც გვექნებოდა, თუმცა სამართალდამცავებთან მოლაპარაკებების წარმოების შედეგად სიტუაცია გამოსწორდა. გარდა ამისა, ჩვენი პიროტექნიკისთვის ჯარიმების გადახდას კლუბიც დათანხმდა, რადგან ჩვენი საშინელი ფედერაციის მიერ შედგენილი კანონების თანახმად, პიროს გამოყენება ფულადი ჯარიმით ისჯება.

***— გსმენიათ თუ არა სლოვაკური ან ჩეხური ულტრასებისა ან ხულიგნების შესახებ?***

— დიახ, „ბანიკ ოსტრას“, ბრატისლავის „სლოვანის“ და ტრნავას „სპარტაკის“ ფანებზე ბევრი მსმენია.

***— რომელი ულტრასული დაჯგუფებები მოგწონთ?***

— პირადად მე სალონიკის „არისის“ ფანები მომწონს. ზოგადად ბერძნული, ბალკანური და ცენტრალურ-აღმოსავლური გუნდების ფანები მომწონს. სწორედ ამ ადგილებში ყველაზე მეტად უყვართ ფეხბურთი. სხვა ქვეყნებში კი ეს თამაში უფრო კომერციასთან არის დაკავშირებული.

***— მოგვიყევით თქვენი საყვარელი ისტორია რომელიმე საფეხბურთო მატჩიდან, რომელსაც თქვენს ფანკლუბთან ერთად ესწრებოდით?***

— ტიტულის მოგება 2008 წელს. „დინამოს“ გამარჯვება „ტორპედოსთან“ მატჩში, ანგარიშით 3:2, 2012 წლის აგვისტოში. აღნიშნული მატჩის თარიღი, ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. ლიგის თასი**

ჩელსი-მანჩესტერი ........................ 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-ქპრ .................................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 25 | 2 | 3 | 70:31 | 77 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:26 | 62 |
| 3.ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53:38 | 57 |
| 4.ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59:32 | 55 |
| 5.არსენალი | 30 | 15 | 8 | 7 | 59:33 | 53 |
| 6.ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47:35 | 51 |
| 7.ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 59:40 | 48 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 5 | 13 | 41:41 | 44 |
| 9.სუონსი | 31 | 10 | 10 | 11 | 41:40 | 40 |
| 10.ფულემი | 30 | 10 | 9 | 11 | 43:46 | 39 |
| 11.ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35:44 | 36 |
| 12.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 44:53 | 34 |
| 13.სტოკი | 31 | 7 | 13 | 11 | 27:36 | 34 |
| 14.ნორვიჩი | 31 | 7 | 13 | 11 | 28:47 | 34 |
| 15.ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:56 | 33 |
| 16.სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:43 | 31 |
| 17.უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36:56 | 30 |
| 18.ასტონ ვილა | 31 | 7 | 9 | 15 | 32:58 | 30 |
| 19.რედინგი | 31 | 5 | 8 | 18 | 36:61 | 23 |
| 20.ქპრ | 31 | 4 | 11 | 16 | 26:51 | 23 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ლესტერი ........................ 2:0
ბარნლი-ნოტინგემი ........................ 1:1
ბირმინგემი-ვულვზი ........................ 2:3
ბლექპული-კრ.აპალასი ........................ 1:0
ბრისტოლი-უენსდი ........................ 1:0
კარდიფი-ბლექბერნი ........................ 3:0
ლიდსი-დერბი ........................ 1:2
მილუოლი-იფსვიჩი ........................ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-გრანადა ........................ 1:0
ბეტისი-ხეტაფე ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90:33 | 75 |
| 2.რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72:28 | 62 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51:25 | 61 |
| 4.სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 51:37 | 48 |
| 5.მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41:28 | 47 |
| 6.ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42:41 | 46 |
| 7.ბეტისი | 29 | 13 | 5 | 11 | 39:42 | 44 |
| 8.ხეტაფე | 29 | 12 | 7 | 10 | 38:44 | 43 |
| 9.რაიო | 29 | 13 | 2 | 14 | 38:49 | 41 |
| 10.ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34:41 | 40 |
| 11.სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:41 | 38 |
| 12.ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35:39 | 36 |
| 13.ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:41 | 35 |
| 14.ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33:51 | 35 |
| 15.ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26:33 | 31 |
| 16.გრანადა | 29 | 7 | 7 | 15 | 27:40 | 28 |
| 17.სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26:43 | 27 |
| 18.სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29:43 | 24 |
| 19.მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 32:58 | 24 |
| 20.დეპორტივო | 29 | 5 | 8 | 16 | 35:62 | 23 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-პადერბორნი ........................ 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნიმი-ლე ავრი ........................ 0:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნასიონალი-გიმარაეში ........................ 2:1
ბრაგა-სპორტინგი ........................ 2:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ალანია-ცსკა ........................ 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-დ.იუნაიტედი ........................ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-იანგ ბოიზი ........................ 0:0
ლუცერნი-ბაზელი ........................ 0:4

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-გენკი ........................ 1:2
ბრიუგე-სტანდარდი ........................ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-ასტერასი ........................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ქაისერი ........................ 3:1
მერსინი-ბეშიქთაში ........................ 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-რუხი ........................ 2:3
ლეჩნა-ვისლა ........................ 0:0
პოგონი-ლეხი ........................ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ოლბორგი ........................ 1:0
ნორდსიელანდი-მიდტიულანდი ... 3:1
სილკებორგი-კოპენჰაგენი ........................ 1:0
ბრონდბიუ-ორხუსი ........................ 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ატვიდაბერგი ........................ 1:0
მალმიო-ჰამლშტადი ........................ 1:1
მიალბი-ნორჩიოპინგი ........................ 1:2
ბრომაპოიკარნა-ესტერი ........................ 2:2
ელფსბორგი-აიკი ........................ 2:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ტრომსო-ოდ გრელანდი ........................ 2:1
რუსენბორგი-ბრანი ........................ 4:0
ულფი-ალესუნდი ........................ 0:1
საპსბორგი-ვიკინგი ........................ 2:1
ვალერენგა-სონგდალი ........................ 1:0

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

დერი-ბრეი ........................ 2:0
დროჰედა-კორკი ........................ 1:1
შელბურნი-ბოჰემიანსი ........................ 0:1
უკ დუბლინი-სლიგო ........................ 0:3

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ლანუსი-ქილმესი ........................ 2:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ტორონტო-დეტროიტი ........................ 98:108
ატლანტა-კლივლენდი ........................ 102:94
მემფისი-სან ანტონიო ........................ 92:90
მილუოკი-შარლოტი ........................ 131:102
მინესოტა-ბოსტონი ........................ 110:100
ჰიუსტონი-ორლანდო ........................ 111:103
კლიპერსი-ინდიანა ........................ 106:109
იუტა-პორტლენდი ........................ 112:102

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ნიუ ჯერსი-აილენდერსი ........................ 1:3
რეინჯერსი-ვინიპეგი ........................ 4:2
დეტროიტი-კოლორადო ........................ 3:2
მონრეალი-კაროლინა ........................ 4:1
მინესოტა-სენტ ლუისი ........................ 1:4
ჩიკაგო-ნეშვილი ........................ 2:2(1:0ბ)
ედმონტონი-კალგარი ........................ 4:1
სან ხოსე-ვანკუვერი ........................ 3:2

## თურქეთიდან ერთი მედლით

თურქეთის ქალაქ სამსუნში დასრულებულ „დიდ პრიზზე“ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრებმა 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ქართველ ძიუდოისტთაგან პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე მედლის აღება 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ზებედა რეხვიაშვილმა შეძლო.

მე-3 ადგილისათვის იჭიდავეს ვაჟებში მძიმეწონოსანმა ონისე ბულაძემ და ქალთა შორის ირინე ლეონიძემ, თუმცა ორივე დამარცხდა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ სათადარიგო შემადგენლობის წევრებს მისცა თავის გამოჩენის შანსი.

საქართველოს ნაკრებს სეზონის უმნიშვნელოვანესი ტურნირი აპრილის მიწურულს, კერძოდ 26-28 აპრილს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გასამართი ევროპის ჩემპიონატი ელის.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

2013, 3 აპრილი, №78

# მერაბ ბოჭოიძე: პრიორიტეტი სიძველეთა დაცვის სფეროში ახალგაზრდების ჩართულობაა

ეკა ირემაშვილი

– კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სიძველეთა დაცვის სფეროში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა იქნება. ეროვნული სააგენტო დარგობრივი სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ხელს შეუწყობს მათ დაახლოებას პროფესიულ საზოგადოებასთან, რაც მომავალში ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სფეროს განვითარების უწყვეტობას განაპირობებს, – ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ.

მერაბ ბოჭოიძე საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა სკოლის დირექტორ თინათინ ღუდუშაურს და პროფესორ დავით ბერიკაშვილს შეხვდა. მერაბ ბოჭოიძეს თინათინ ღუდუშაურმა საქართველოს უნივერსიტეტის ის მიმართულებები გააცნო, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობის სფეროში ახალი თაობის აკადემიურ ცოდნას უზრუნველყოფს. შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი უახლოეს მომავალში სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებთან და მათ სტუდენტებთან შეხვედრებს გეგმავს. მერაბ ბოჭოიძე უშუალოდ გაეცნობა სფეროსა და ქვეყნის მიმდინარე პროექტებში სტუდენტების ჩართულობის მზაობას.

– ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წარმატებულ სტუდენტებს, ხელს შეუწყობს მონაწილეობა მიიღონ ძეგლთა სარეაბილიტაციო სამუშაობში და უშუალოდ ადგილზე გაეცნონ სიძველეთა დაცვის სპეციფიკას, – განმარტა მერაბ ბოჭოიძემ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი საქართველოში ჩამოსულ იტალიელ არქიტექტორ ანდრეა ბრუნოსაც შეხვდნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ანდრეა ბრუნომ მერაბ ბოჭოიძეს ძეგლთა დაცვის სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე წარმატებული მუშაობა უსურვა. მერაბ ბოჭოიძემ თავის მხრივ ანდრეა ბრუნოს „დომუსის არქიტექტურისა და რესტავრაციის საერთაშორისო კონკურსზე გამარჯვება“ უშუალოდ მიულოცა.



შეხვედრის მთავარი თემა იყო ღია დისკუსია ბაგრატზე, რომელიც 23 მარტს ფერარას ერმიტაჟის დარბაზში გაიმართა. ანდრეა ბრუნომ მერაბ ბოჭოიძეს დისკუსიის დეტალები გააცნო და აღნიშნა, რომ „ანდრეა ბრუნოს სტუდია“ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობას მომავალშიც მიიღებს.

მერაბ ბოჭოიძემ და ანდრეა ბრუნომ ასევე ბაგრატის საკათედრო ტაძრის შემდგომი განვითარების შესაძლო პერსპექტივაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს იტალიელმა არქიტექტორმა ბაგრატის ტაძრის ინფრასტრუქტურის და ძეგლის ინტერიერში იატაკის მოწყობის კონცეფციის შემუშავება შესთავაზა. ანდრეა ბრუნომ საუბარში აღნიშნა, რომ სამუშაო უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში, დაჩქარებული ტემპების გარეშე. ახალი კონცეფცია უნდა შეიქმნას ყველა დაინტერესებული რგოლის – სამთავრობო, საპატრიარქო უწყებებისა და პროფესიული საზოგადოების კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაგრატის ტაძრის მაშენებლები არქიტექტორები ვანო გრემელაშვილი და ანდრეა ბრუნო ბრწყინვალების ორდენებით დააჯილდოვა. პრეზიდენტმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი ვანო გრემელაშვილის მეუღლეს ნელი გრემელაშვილს და ამ დღისთვის იტალიიდან სპეციალურად ჩამოსულ ანდრეა ბრუნოს თავად გადასცა. ღონისძიებას დაესწრნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, უწყების ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა, ბაგრატის ტაძრის არქიტექტორ-კონსტრუქტორები და იტალიის ელჩი საქართველოში ფედერიკა ფავი.

იტალიელმა არქიტექტორმა ანდრეა ბრუნომ განახლებული ბეთლემის უბანი დაათვალიერა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ მისი ხელმძღვანელობით აღდგენილი და გადარჩენილი ბეთლემის ისტორიული უბანი იტალიელ არქიტექტორს თავად გააცნო. ანდრეა ბრუნომ ფეხით მოიარა ბეთლემის ქუჩა კიბე, დაათვალიერა კონსერვირებული ათეშგაცეცხლის ტაძარი და ხელით შეეხო აღდგენილ სიძველეებს.

იკომოს-საქართველოს ეროვნული კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნატო ცინცაბაძემ ღონისძიების ფარგლებში, ანდრეა ბრუნოს ორგანიზაციის ოფისში უმასპინძლა. ანდრეა ბრუნო იკომოს-საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების გარდა, გაეცნო ძეგლთა დაცვის სფეროში სამუშაოს წარმოების იმ პრინციპებს, რომლითაც იკომოს-საქართველო ხელმძღვანელობს.

– ანდრეა ბრუნომ თავად დაათვალიერა ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა, რომელიც 2004 წელს საქართველო – იკომოსმა იუნესკოს-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიის და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით მოამზადა. დოკუმენტაცია შექმნილია ეკონომიკურ და სოციალურ კვლევებზე დაყრდნობით და ასახულია ძეგლზე ჩარევის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს განახლებულ კლდისუბანს, – განაცხადა მერაბ ბოჭოიძემ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ანდრეა ბრუნოს გააცნო ის სირთულეები, რომელიც ბეთლემის ქუჩის განახლების პერიოდში საქართველოს-იკომოსის ეროვნულ კომიტეტს წილად ხვდა და აღნიშნა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის როლი და მნიშვნელობა, რომლის შედეგად, დღეს ბეთლემის ისტორიული უბანი განახლებულია და განვითარების ახალ ეტაპს საჭიროებს.

– ეს არის დიდი საგანძური თბილისისთვის. მსგავსი პროექტის განხორციელება ბევრად რთულია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ძეგლის აღდგენა ან კონსერვაცია. ისტორიული უბნის გადარჩენა ბევრად მეტი კომპონენტის გათვალისწინებას გულისხმობს, მით უმეტეს თუ სიძველეები ყველა პრინციპის დაცვითაა აღდგენილი როგორ აქ. ასეთი მასშტაბის სამუშაო მხოლოდ პროფესიულ ელიტას შეუძლია დააფასოს და კარგად ჩანს როგორ უვლით და ავითარებთ თბილისის ამ მნიშვნელოვან ადგილს, – აღნიშნა ანდრეა ბრუნომ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს შეხვდა. შეხვედრაზე მთავარი თემა იყო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიაში არსებული არქიტექტურული კომპლექსებისა და ცალკეული ძეგლების მდგომარეობის შეფასება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. მხარეებმა განიხილეს უკანასკნელ წლებში რეგიონში აღდგენილი სიძველეებისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების მნიშვნელობა, ასევე კრიტიკულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების აღდგენის აუცილებლობის საკითხები. მეუფე თეოდორეს მოსაზრებით, სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში შემავალი ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის გარდა, სასურველია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ჩაერთოს და ხელი შეუწყოს სამონასტრო-კომპლექსების დაცულ ზონებში დაგეგმილი მშენებლობების საპროექტო დოკუმენტაციის შექმნას. შესაბამისად, ბერ-მონაზვნების ყოფითი პირობების გაუმჯობესებისას აღარ დაირღვევა ძეგლის ინტერესები და გათვალისწინებული იქნება მომლოცველებისა თუ უბრალო ტურისტების საჭიროებები. დოკუმენტაციის პროფესიულად შექმნა ასევე დაარეგულირებს ყველა იმ კომპონენტს, სადაც ერთამენთთან ძეგლის, სამონასტრო ცხოვრებისა და ტურისტებული განვითარების საკითხები თანაბრად იკვეთება.

– საპატრიარქო არის ქვეყანაში არსებული ეკლესია-მონასტრების მესაკუთრე და ბუნებრივია, ნებისმიერი ღონისძიება სიძველეთა დაცვის სფეროში ამ უწყებასთან ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს, ამავდროულად, ქვეყანას აქვს საკუთარი კანონები. ამ მოცემულობიდან გამომდინარე ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ და ამ კუთხით განვავითაროთ ურთიერთთანამშრომლობა და სიძველეთა დაცვის სფერო, – აღნიშნა შეხვედრისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის თავმჯდომარე ალავერდის მიტროპოლიტი დავითი, ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები და საპატრიარქოს წარმომადგენლები. მხარეებმა ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის სფეროში წარმოქმნილი საკითხები განიხილეს და მსჯელობის შედეგად საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებისა და მისი გაფორმების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. მემორანდუმი ორ მხარეს შესაძლებლობას მისცემს დარეგულირდეს თანამშრომლობის წესები და შეიქმნას ერთობლივი საბჭო (სათათბირო) ან კომისია, რომელიც განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის სფეროში, საპატრიარქოსა და ეროვნულ სააგენტოს შორის არსებულ საერთო კომპეტენციის საკითხებს.

# „თბილისის ქანდაკება – პოეზია ქვიშაში“ გამოცემულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ჩავიდა. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბექა ბაიდაურთან და ადგილობრივი უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად სამინისტროს დელეგაციამ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა. კულტურის მინისტრმა, მოადგილეებთან ერთად პანკისის ხეობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პანკისის კულტურის სახლი დაათვალიერა, ასევე მოინახულა სოფელ დუისში უსუპ მარგოშვილის სახელობის დუისის საჯარო სკოლა, სადაც გაიმართა შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან, ხეობის მოსახლეობასთან და უხუცესებთან. შეხვედრა ამავე სკოლის ხალხური თვითშემოქმედებითი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი მცირე კონცერტით დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციამ ასევე მოინახულა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, ბალთაგორის ციხესიმაგრე, ჯოყოლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და ახმეტის კულტურის სახლი.

კულტურის სამინისტროს ეგიდით დაიწყო რეგიონალური განვითარებისა და მხარდაჭერის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, პიანისტ თათა ლიჩელთან და მევიოლონე ლელა მჭედლიძესთან ერთად, ბათუმის, მარტვილის, ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის სამუსიკო სასწავლებლებს ესტუმრა. თათა ლიჩელმა და ლელა მჭედლიძემ გამართეს კონცერტები, ასევე ღია გაკვეთილები (მასტერკლასები). რეგიონალური განვითარებისა და მხარდაჭერის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აჭარის მაღალმთიან რეგიონებში (შუახევი, ხულო, ქედა), მარტვილში, ფოთში, სენაკსა და ზუგდიდში ჩატარდა ტექნიკური-აზომვითი სამუშაოები, ადგილობრივი კინოთეატრების სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის მიზნით. აღნიშნული პროცესი პირველ ეტაპზე საქართველოს 10 ქალაქსა და სოფელში იგეგმება.

გურამ ოდიშარია ირწმუნება, იმისთვის, რომ განვითარდეს რეგიონები, საჭიროა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. „ანიმაციის განვითარების ფონდის“ ორგანიზებით და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, თელავში ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“ გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში შედგა ქართული და უცხოური ანიმაციური ფილმების ჩვენება. თელავის სამხატვრო სასწავლებელში ანიმაციის სწავლების დანერგვის მიზნით ჩატარდა ვორქშოპი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული სასწავლებლის მოზარდებს შექმნან ახალი ქართული ანიმაციური ფილმები. პროექტი საქართველოს სხვა რეგიონებსაც მოიცავს, ანიმაციური ფილმების შემდეგი ფესტივალი ზუგდიდში უკვე აპრილის თვეში გაიმართება.

რეგიონებში ვიზიტის პარალელურად, გურამ ოდიშარია სხვადასხვა ქვეყნების ელჩებსაც მასპინძლობს. გასულ კვირას კულტურის მინისტრი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ორთვინ ჰენიგსა და ელჩის მოადგილეს ჰაიკე გაბრიელს შეხვდა. გამართული ოფიციალური შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მხარეებმა მომავალი ურთიერთობებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. გურამ ოდიშარიამ ასევე მიიღო სომხეთის კულტურის მინისტრი ჰასმიკ პოღოსიანი სომხეთის დელეგაციასთან ერთად. ოფიციალურ შეხვედრაზე მხარეებმა მომავალი ურთიერთობებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. სომხეთის დელეგაცია კულტურის სამინისტროში სომეხი პოეტის გაგიკ დავთიანის წიგნის „ღია ბარათი“ პრეზენტაციასაც დაესწრო.

პარალელურად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი სამინისტროში საერთაშორისო პროექტების დაფინანსების მსურველთათვის. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი:

„განაცხადები მიიღება ყოველი თვის 1-დან 25 რიცხვამდე, სამუშაო დღეების შესაბამისად. დაფინანსებაზე წარმოდგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას: პროექტის მოკლე აღწერილობა; ზუსტი ხარჯთაღრიცხვა; საჭიროების შემთხვევაში მოწვევის ასლი; განმცხადებლის კურიკულუმ ვიტაე; საჭიროების შემთხვევაში აუდიო და ვიზუალური მასალა დისკზე (ელექტრონული). გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტი ვერ იქნება განხილული საბჭოზე, რადგან ჩაითვლება არასრულყოფილად. გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ, რომ ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან ფინანსური გარანტიის წარმოდგენის გარეშე პროექტის წინასწარი დაფინანსება შეუძლებელია! საერთაშორისო პროექტების განმხილველი მრჩეველთა კომისია იკრიბება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მხარე გერმანიაში; 2. აეროპორტი რომში; 3. გულის კუნთოვანი კედელი; 4. საგანგებოდ გამოყვანილი, დამარილებული, შებოლილი ღორის ხორცი; 5. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი, ბარჯი; 8. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. დახურული ტიპის მსუბუქი ავტომობილი; 12. ქართველი კინომცოდნე მამაკაცი; 3. ისტორიული ტაოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 19. ქართველი კომიკოსი; 20. სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში.

**თარაზულად**: 6. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად აცხადებს თავს; 7. იმერეთში გავრცელებული ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 14. ანდალუზიელი ბოშების საცეკვაო-სასიმღერო მუსიკალური სტილი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 21. საღამოს სადილი; 22. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 23. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 24. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობ

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრიკაზე; 2. ბრიუსელი; 3. ოტომანები; 4. საყდარი; 5. ციკლოტრონი; 10. მაკეტი; 11. მუშტაიდი; 12. მანდილი; 13. ბენიასა; 16. ყანდარელი; 17. საგურამო; 19. ომნიბუსი; 21. სევრი; 23. ნორმა.

**თარაზულად:** 6. პრიორიტეტი; 7. ბაკარდი; 8. ბახუსი; 9. ნადირაძე; 14. ბელკანტო; 15. კანდელაკი; 18. ბადრი; 20. ფაეტონი; 22. ფანდური; 24. ბეტისი; 25. ხეჭეჭური; 26. ჰამამი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გირკანი; 2. მიამიტი; 3. რისლინგი; 4. კუვეზი; 5. ზუგდიდი; 8. მარკესი; 9. პარალიზი; 12. სეკრეცია; 13. კრამიტი; 16. სომბრერო; 17. კანკანი; 19. იკორთა; 20. ბაწარა.

**თარაზულად:** 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. ბალტიკა; 11. მიზა; 14. გორდონსი; 15. ოკულისტი; 18. შოპენი; 21. კატრანი; 22. საბაი; 23. აზარტი; 24. ყომარბაზი.

# ამერიკული სამხედრო ხომალდი ჩრდილოეთ კორეის სანაპიროსთან განათავსეს



ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კორეის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე სამხედრო გემი განათავსა. ამის შესახებ სააგენტო „ფრანსპრესი" ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება. ხომალდის ამოცანაა – შეეწინააღმდეგოს ჩრდილოეთ კორეას შესაძლო სარაკეტო თავდასხმის შემთხვევაში.

როგორც ცნობილია, შაბათს, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ კორეასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ჩრდილოეთ კორეა, ასევე, სამხრეთ კორეაზე სარაკეტო და საარტილერიო დარტყმებით და წყნარ ოკეანეში განთავსებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებზე თავდასხმით დაიმუქრა.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობა ეკონომიკური რეფორმების გატარებასაც გეგმავს. ადგილობრივი ტელევიზია პარალელურად, პროპაგანდულ ფილმებს ომისთვის მზადების თემაზე გაუჩერებლად გადასცემს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მედია-საშუალებების ინფორმაციით, კორეის ნახევარკუნძულზე საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ქვეყნის სამხედრო ძალებისგან ბირთვული დარტყმა ყველა მოწინააღმდეგეს იქ მიადგება სადაც იმყოფება.

პარალელურად, გუშინ, ჩრდილოეთ კორეის პარლამენტის დეპუტატები, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, მასშტაბური ეკონომიკური რეფორმების ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე პაკ პონ ჩუ დაბრუნდა, რომელსაც ამ მისიის შესრულება დაევალა.

კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობა, ფხენიანის მიერ თებერვალში ჩატარებულმა მორიგმა ბირთვულმა ცდებმა და სამხრეთ კორეაში ამერიკელი სამხედროების სწავლებებმა გამოიწვია.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, იონბიონში ბირთვულ ობიექტზე მუშაობას ანახლებენ, რომელზე მუშაობაც 2007 წელს შეჩერდა.

2007 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, იონბიონის ბირთვულ რეაქტორზე მუშაობა ქვეყნისათვის საერთაშორისო დახმარების სანაცვლოდ შეჩერდა.

ამ ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთული ბაპტისტური კონვენციის ხელმძღვანელი ფრედი ლუთერი ფიქრობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობის მხრიდან აშშ-ს მისამართით ბოლო დროს გაკეთებული მილიტარისტული განცხადებები, შემთხვევითი არ არის. ლუთერი ფიქრობს, რომ ამ ყველაფერში ღმერთის ხელი ურევია და ამერიკა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ რამდენიმე შტატში მიმდინარე დისკუსიების გამო ისჯება, – იუწყება ბრიტანული პინკნიუსი.

„ბოლო ერი, რომელმაც ეს გააკეთა და ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა, განდგურდა. სოდომი და გომორი დაინგრნენ", – განაცხადა მან და დასძინა, რომ ღმერთს ამერიკაც შორდება.

# სამგლოვიარო განცხადებები

ნანა და გიორგი თვალიაშვილები, ოჯახის წევრები, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ დედა

**თამარ თვალიაშვილი**

უფალო, ნათელში ამყოფე მისი სული.
პანაშვიდი: 2, 3 აპრილს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 4 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 44, IV სადარბაზო, ბინა 15.

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით, რომ დერმატოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი თვალიაშვილს გარდაეცვალა დედა, ქალბატონი

**თამარ თვალიაშვილი**

სამძიმარსა და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს.

შვილები ჰამლეტი, მერაბი, რძლები ეთერ, ნანა, შვილიშვილები მარიამი, ზაქრო რაზმაძეები, სიძე გაგა ბაკურაძე, ძმები ოთარი, დურმიშხანი, და ჟუჟუნა, რძლები თამარი, დიანა, ძმისშვილები დურმიშხანი, მარინე, ლალი, მაია ჩიტაშვილები, სიძეები გია აღნიაშვილი, გოჩა დაუშვილი, დისშვილები ლია, ეკა, ნინო, გია ასათიანები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო ჩიტაშვილი-რაზმაძისა**

პანაშვიდი: 4, 5 აპრილს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 6 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: თელავის რაიონი, სოფელი კურდღელაური.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, ბატონ მურად ანჯაფარიძეს ძმის

**ომარ ანჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ევროკავშირმა მალიში არმიის რეორგანიზაციისა და სწავლების მისია დაიწყო



ევროკავშირმა მალიში ადგილობრივი არმიის რეორგანიზაცისა და სწავლების მისია დაიწყო. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, მალის ოთხი ბატალიონიდან ერთს ევროპელი ინსტრუქტორები ქვეყნის დედაქალაქ ბამაკოში ჩაუტარებენ წვრთნებს.

ევროკავშირის საწვრთნელი მისია 15 თვეს გასტანს. მასში ევროკავშირის წევრი 22 ქვეყნის 550 სამხედრო მოსამსახურეა ჩართული, მათ შორის 150 ინსტრუქტორი. ევროპელი ინსტრუქტურები ჯამში 2,5 მალელ სამხედროს მოამზადებენ.

„ბი-ბი-სის" ცნობით, მალის პირველ ბატალიონს წვრთნები კულიკოროს ბაზაზე ჩაუტარდება, რომელიც დედაქალაქ ბამაკოდან 60 კმ-ში მდებარეობს.

მალის ჩრდილოეთით კონფლიქტი 2012 წლის მარტში დაიწყო მას შემდეგ რაც სხვადასხვა ქალაქებზე, მათ შორის გაოზე, კიდალსა და ტიმბუკტუზე რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა დაამყარეს კონტროლი. მოგვიანებით, მალის ხელისუფლებამ დახმარებისთვის საფრანგეთს მიმართა, რომელიც მას სამხედრო დახმარებას ამ დრომდე უწევს. საფრანგეთის სამხედრო ძალების ჩარევის შედეგად ტერორისტებისგან რამდენიმე ქალაქი გათავისუფლდა, მაგრამ კონფლიქტი ჯერ საბოლოოდ არ არის ამოწურული.

რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ წლის ბოლომდე მალიში მებრძოლი 4 ათასი ფრანგი სამხედროდან, მხოლოდ ათასი დარჩება. შეგახსენებთ, რომ მალიში სამხედრო ოპერაციისთვის 455,5 მილიონი დოლარი გამოიყოფა. აქედან 67 მილიონი ევროკავშირმა გამოყო, 12 მილიონი – იაპონიამ და 96 მილიონი – აშშ-მ.

# ევროზონაში თებერვალში უმუშევართა რიცხვი 12%-ით გაიზარდა




ევროზონაში თებერვალში უმუშევართა რიცხვი 12%-ით გაიზარდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

სტატისტიკური სააგენტო „ევროსტატის" მონაცემებით, თებერვლის თვეში ევროზონის 17 წევრ ქვეყანაში უმუშევართა რიცხვმა 330 ათასით მოიმატა.

უმუშევართა ყველაზე დიდი მაჩვენებელი საბერძნეთში დაფიქსირდა – 26,4%. იანვართან შედარებით, 0,1%-ით გაიზარდა უმუშევართა რიცხვი ესპანეთში და 26,3% შეადგინა. ევროზონაში სიდიდით რიგით მეორე და მესამე ქვეყნებშიც გაზრდილია უმუშევართა რიცხვი: საფრანგეთში დაუსაქმებელთა რაოდენობა 10,8%-ია, იტალიაში კი 11,6%-ია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ავსტრიაში დაფიქსირდა – 4,8%.

წინასწარი ინფორმაციით, მარტში ევროზონის 17 ქვეყანაში აღნიშნული მონაცემების კიდევ უფრო გაუარესებას ელოდებიან.

ამ ფონზე, კვიპროსის პრეზიდენტის ნიკოს ანასტასიადისის განცხადებით, ქვეყნის მთავრობა სათამაშო ბიზნესზე შეზღუდვების გაუქმებას გეგმავს და კომპანიებს მოგებასა და რეინვესტიციებზე საგადასახადო შეღავათებს შესთავაზებს, რადგან ეს, კვიპროსის მთავრობის ეკონომიკის სტიმულირების გეგმის ნაწილია.

თუმცა ამ დრომდე, კვიპროსში კაზინოს გახსნის ნებისმიერი მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა, ვინაიდან პროცესს კვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესია ეწინააღმდეგებოდა.

კუნძულოვანი სახელმწიფოს პრეზიდენტის განცხადებითვე, ეკონომიკის სტიმულირების გეგმა 12-პუნქტიანი იქნება და მისი შემუშავება 15 დღეში დასრულდება. გეგმა უცხოური ინვესტიციების მოპოვებას, საგადასახადო შეღავათების დაწესებას, დაკრედიტების გამარტივებას და გაიაფებას ითვალისწინებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში კვიპროსი პირველი ქვეყანა გახდებოდა, რომელსაც ბანკების გაკოტრების შემდეგ ევროზონიდან გარიცხავდნენ.

ევროზონა მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი.

# ტერორისტული დაჯგუფების ჰამასის ლიდერად კვლავ ხალად მაშაალი აირჩიეს



პალესტინის ისლამისტური დაჯგუფების ჰამასის ლიდერის პოზიციაზე, ოთხწლიანი ვადით კვლავ ხალად მაშაალი აირჩიეს. ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალურ პოლიტიკურ ლიდერებზე დაყრდნობით „ბიბისი" ავრცელებს.

გასულ წელს ხალად მაშაალმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მომავალ არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას არ წარადგენდა, თუმცა ამჟამინდელ არჩევნებზე ის ერთადერთი კანდიდატი იყო.

ხალად მაშაალი 2004 წელს, ჰამასის დამფუძნებლის შეიხ აჰმედის გარდაცვალების შემდეგ გახდა. ჰამასის 56 წლის ლიდერი ათწლეულების განმავლობაში დევნილობაში იმყოფებოდა. თუმცა გასული წლის ნოემბერში ისრაელთან ზავზე დათანხმდა. პარალელურად სირიის პრეზიდენტ ბაშარალ ასადის წინააღმდეგ იბრძოდა.

პალესტინის ისლამისტური დაჯგუფება ჰამასი, ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ ოფიციალურად ტერორისტულ ორგანიზაციად დასახელდა.

ჰამასი("ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა") წარმოადგენს პალესტინის ისლამისტურ მოძრაობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია მუსლიმანურ საძმოსთან. მისი ოფიციალური მიზანია „ისრაელის გეოგრაფიული რუქიდან წაშლა" და მის ადგილას (დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორის ჩათვლით) ისლამური თეოკრატიის შექმნა.

ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული ევროკავშირის, კანადის, აშშ-სა და ისრაელის მიერ და მისი თავდასხმები ისრაელის მოქალაქეებზე და სხვა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები დაგმობილ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის, საერთაშორისო ამნისტიისა და ჰუმან რაითს უოჩის მიერ. ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით პოპულარულია პალესტინელთა შორის ღაზის სექტორში, თუმცა მას მიმდევრები ჰყავს დასავლეთ სანაპიროზეც და პალესტინის დიასპორაში სხვა ქვეყნებში, ისრაელის ჩათვლით. მოძრაობის პოპულარობა განპირობებულია მის მიერ პალესტინის ღატაკთათვის შემწეობისა და სოციალური უზრუნველყოფის გაწევითა და ნაწილობრივ შეიარაღებული მოქმედებებით. არაბული სამყაროს გარეთ ჰამასი ცნობილია თვითმკვლელი ამფეთქებლებით ისრაელის მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ რეგიონებში. ორგანიზაცია, როგორც წესი, ამგვარ თვითმკვლელების ოჯახებს უხვ კომპენსაციას უხდის.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 3 აპრილი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 00.30 მხ/ფ „ზზარი„ (ე.ჰოპკინსი) 02.40 დ/ფ „გონებაში„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 7 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 1 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „რეალური სიყვარული„ (ლ.ნისონი) 01.25 მხ/ფ „სისხლიანი შოუ„ (კ.მილერი) (ტიტ.) 02.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 22.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი
კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „მაია წყნეთელი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 დოკ/ფ „საქართველოს ისტორია„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „გადადექი ფაშა„ 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „განაჩენი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა გუნია 23.30 დოკ/ფ „სიჩუმის მცველნი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ანა და მეფე„ I ნაწ.

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 აპრილი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6577

ევრო — 2,1245

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5189

100 რუსული რუბლი — 5,3331

**ამინდის პროგნოზი 3 აპრილისთვის**




# ოლიმპიურ კომიტეტში სოჭის თაობაზე 2 მაისს იმსჯელებენ

სეოკ-ის აღმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დღის წესრიგში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიის მოწვევის საკითხიც იდგა, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ. აღმასკომმა ყრილობის თარიღად 2 მაისი დანიშნა.



**ლერი ხაბელოვი:**

– საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში პასუხის დაფიქსირების ვადა 7 მაისს იწურება, სეოკ-ის რიგგარეშე სესიას კი რამდენიმე დღით ადრე ჩავატარებთ და გაისად გასამართ ზამთრის ოლიმპიადაზე მონაწილეობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. ყველაფერი პროცედურული ნორმების დაცვით გაკეთდება. ჩავატარებთ კენჭისყრას, რომელშიც 59 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას და გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით გამოვიტანთ.

სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ხაბარელმა აღმასკომის წევრებს მოკლედ გააცნო თებერვალში რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში გამართულ ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ფესტივალზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლის შესახებ, ხოლო ზაფხულის ანალოგიურ თამაშებზე, რომელსაც მიმდინარე წლის ივლისში ჰოლანდიის ქალაქი უტრეხტი უმასპინძლებს სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ისაუბრა. ქართველი სპორტსმენები ფესტივალის პროგრამაში შეტანილი 9 სახეობიდან ექვსში იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ უტრეხტის მომდევნო თამაშები 2015 წელს თბილისში ჩატარდება.

პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა აღმასკომის წევრებს ჟურნალ „ოლიმპიელის“ აღდგენის თაობაზე აცნობა, რომლის გამოცემაც 2009 წელს შეწყდა. ჟურნალის მთავარი რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი იქნება და იგი წელიწადში ორჯერ გამოვა. ბერიშვილისვე თქმით, 23 ივნისს, საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით იგეგმება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

აღმასკომზე იმსჯელეს საქართველოს სქვოშის ფედერაციის აღიარების შესახებაც, რომელიც 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის კანდიდატთა შორისაა.

სეოკ-ის აღმასკომის დასრულებისთანავე გაიმართა რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძის 80 და წყალბურთში ამავე ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ლერი გოგოლაძის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

იუბილარებს პირველმა ლერი ხაბელოვმა მიულოცა და სეოკ-ის სიგელით დააჯილდოვა.

სახელოვან სპორტსმენებს ეს ღირსშესანიშნავი თარიღები მიულოცეს მძლეოსნობისა და წყლის სახეობათა ფედერაციათა პრეზიდენტებმა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, საპატრიარქოს წარმომადგენელმა დამსწრეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მილოცვის წერილი გააცნო.

მ. ჟ.

# ლეონიდ აგუტინი და ანჟელიკა ვარუმი თბილისში იმღერებენ



ეკა ირემაშვილი

რუსული ესტრადის ვარსკვლავები ანჟელიკა ვარუმი და ლეონიდ აგუტინი 4 აპრილს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავენ. მომღერალი ცოლ-ქმარი თბილისს საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეწვევა. ისინი ბოლოს თბილისში 14 წლის წინ იმყოფებოდნენ, როდესაც ლაგუნა ვერეზე კონცერტი გამართეს.

რუსი მომღერლების საქართველოში დაგეგმილი კონცერტის ორგანიზატორი დავით ოქიტაშვილია. როგორც ის აცხადებს, დროა ქართველმა და რუსმა ხელოვანებმა კვლავაც აღადგინონ ძველი ურთიერთობები, ყველანაირი პოლიტიკა გვერდით გადადონ და ხალხებს შორის სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავონ.

ანჟელიკა ვარუმი და ლეონიდ აგუტინი თბილისში თავის ბენდთან ერთად ჩამოვლენ. მათ კონცერტზე ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია. ბილეთის ფასი 50-დან 100 ლარამდეა.

როგორ საკონცერტო პროგრამას წარმოადგენენ რუსი მომღერლები და რას ელოდებიან ქართველი მსმენელისგან, ამის შესახებ „ახალ თაობას“ კონცერტის ორგანიზატორი დავით ოქიტაშვილი ესაუბრა:

– ანჟელიკა ვარუმი და ლეონიდ აგუტინი თბილისში ბენდთან ერთად ჩამოვლენ და 4 აპრილს დაგეგმილ კონცერტზე თბილისელ მაყურებელთან შესახვედრად მოემზადებიან.

***– როგორია მათი საკონცერტო პროგრამა?***

– ისინი ორსაათიანი საკონცერტო პროგრამით აპირებენ მაყურებლის წინაშე წარდგენას. მათი საკონცერტო პროგრამა მოიცავს ყველა იმ ცნობილ სიმღერებს, რომლითაც ცნობილია ეს ცოლ-ქმარი. როგორც მათ განაცხადეს, ისინი იმღერებენ იმდენს, რამდენიც არ მობეზრდებათ ქართველ მსმენელს.

***– როგორია მათი მოლოდინი?***

– დამიჯერეთ, მათ ძალიან უხარიათ, რომ თბილისში ჩამოვლენ, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ისევ საქართველოში იქნებიან და კიდევ ერთხელ მოეფერებიან ქართველ მსმენელს.

***– რამდენი წელია ეს წყვილი საქართველოში არ ყოფილა?***

– მინიმუმ 9-10 წელია აქ არ ყოფილან და ქართველებისთვის არ უმღერიათ.

***– ბილეთები აქტიურად იყიდება?***

– კი. მიდით და ნახეთ როგორი თაობის მსმენელი იღებს ბილეთს.

***– კიდევ ვის მოიწვევთ საქართველოში?***

– მე ყოველთვის ჩემს ხალხს ვემსახურებოდი. იცით აგუტინზე და ვარუმზე რა ხდება? ყველა თაობის მსმენელი მიდის და ბილეთებს ყიდულობს. ხალხს მოენატრა რუსი მომღერლებიც, მათი მუსიკაც. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კულტურა პოლიტიკისგან განთავისუფლდეს, ასე არ შეიძლება! მათაც უნდათ ჩამოვიდნენ საქართველოში და ქართველ ხალხს მოეფერონ, სიყვარულით უმღერონ. ამაში ცუდს რას ხედავთ? მე მაგალითად, ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ.

***– საქართველოში უნდა შეირჩეს ჩვენი წარმომადგენელი სიმღერის კონკურსზე „იურმალა“. ანჟელიკა ვარუმი და ლეონიდ აგუტინიც ხომ არ არიან ამ ჟიურიში?***

– არა. ისინი ჟიურიში არ არიან. ჟიურის ნაწილი უკვე ჩამოვიდა თბილისში, მათ შორის ვალერი მელაძეც.

***– ბევრმა ისურვა ამ კონკურსში მონაწილეობა?***

– 50-მდე განაცხადია შემოსული. ყველა ახალგაზრდა შემსრულებელია, რომლებიც ქართველ მაყურებელს ძალიან უყვარს. აქ ჩამოსული ჟიური მათგან შეარჩევს 7-8 საუკეთესო მომღერალს და შემდეგ ისინი გაემგზავრებიან იურმალაში ან მოსკოვში, ზუსტად ჯერ არ ვიცი, სადაც უკვე კონკურსის ორგანიზატორები მათგან ერთ ან ორ კონკურსანტს შეარჩევენ.

## ყველამ გაითვალისწინეთ! მშვენიერი დღეა

## ასტროპროგნოზი 3 აპრილისთვის

**ვერძი** – სიხარული და ხალისი არ გტოვებთ. **კური** – ყველა საქმე გამოგდით, იაქტიურეთ! **ტყუპები** – შეხვედრა თქვენ სასიკეთოდ დასრულდება, არ შედრკეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – კარგ ხასიათზე ხართ, რადგან ამის მიზეზი გაქვთ. **ქალწული** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **სასწორი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე წინ მიდის, დიდი წარმატება გელით. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, მეგობრებს შეხვდით. **მერწყული** – მთლიანობაში წარმატებული დღეა, იმოქმედეთ. **თევზები** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# ბარაკ ობამამ ჯონ კენედის ქალიშვილს იაპონიაში აშშ-ს ელჩის თანამდებობა შესთავაზა



აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის ქალიშვილს იაპონიაში აშშ-ს ელჩის თანამდებობა შესთავაზა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„ეს დიდი მოვლენა იქნება და ორი ქვეყნის ურთიერთობას გააღრმავებს“, – განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ესიხიდე სუგამ, რომლის თქმითაც ოფიციალურად დანიშვნის შესახებ ჯერ არ გაუგიათ.

ქეროლაინ კენედი 2008 და 2012 საპრეზიდენტო კომპანიების დროს ბარაკ ობამას კანდიდატურას უჭერდა მხარს. ის ნიუ-იორკის სენატორობისათვის აპირებდა ბრძოლას, თუმცა შემდეგ კანდიდატურა მოხსნა.

იაპონია აშშ-ს ერთ ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება. უფრო ადრე ტოკიოში აშშ-ს ელჩების თანამდებობები ეკავათ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს უოლტერ მონდეილს და წარმომადგენელთა პალატის ყოფილ სპიკერს ტომ ფოლის.

კეროლაინ კენედი ჯონ და ჯაკლინ კენედის შვილებიდან მხოლოდ ერთადერთია ცოცხალი.

გ. მ.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1 მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. საქონლის საკვებად გამოყენებული ბალახოვანი პარკოსანი მცენარე; 4. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 5. საქორწილო მარშის ავტორი გერმანელი კომპოზიტორი; 10. დაბალი ხარისხის შაქარი; 11. ნეპალის დედაქალაქი; 12. პოლონური ხალხური ცეკვა; 13. სასაცილო ან სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 19. კუთხე საქართველოში; 21. თითზე ჩამოსაცმელი თოჯინა; 23. მოკლე შარვალი.

**თარაზულად**: 6. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი კომპოზიტორი ბალეტ „დემონის“ მუსიკის ავტორი; 8. დედალი ცხენი; 9. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა; 14. ესპანური ფართოფარფლებიანი ქუდი; 15. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 22. ქართველი მევიოლინე ქალი; 24. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 25. ყომარბაზის, აზარტული თამაშების მოყვარული ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 26. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ლეჟავა მორიგი გასვლისთვის ემზადება



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჯუმბერ ლეჟავას ევრაზიული ველოტურის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის პრეზენტაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მუხრან გულალაშვილი დაესწრნენ.

9 მაისს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მე-2-ის ლოცვა-კურთხევით, გინესის მრავალგზის რეკორდსმენის, მსოფლიო ველომოგზაურის, მსოფლიოს მოქალაქისა და სპორტსმენის, გაეროს ბუნების დაცვის ელჩის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ჯუმბერ ლეჟავას ველოტური „ლეჟავა და ევრაზია“ დაიწყება.

ველოტური ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება (მთლიანობაში, მასში 40.000-ზე მეტი ველომოყვარული ჩაებმება) და პროექტის მონაწილენი ევრაზიის 30 ქვეყნის 200-მდე ქალაქსა და ათასობით დასახლებულ პუნქტს გაივლიან.

ველოტურის მიზანი მრავალმხრივია – ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ქვეყნებს შორის სპორტული კავშირურთიერთობების განმტკიცება, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან კონტაქტების გაღრმავება.

ველოტურის მარშრუტი შემდეგ ქვეყნებზე გადის: საქართველო, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია, ალბანეთი, საბერძნეთი და თურქეთი.

დაგეგმილია შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები აღნიშნული ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისა და სფეროების, ასევე სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ახალგაზრდობასთან.

მ. ჟ.